პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 64 (9840) | სამშაბათი, 16 მარტი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებმა უდიდესი პატრიოტული აღმავლობის ვითარებაში ჩაიარა და გადაიქცა ჩვენი ქვეყნის ხალხთა ურღვევი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის, კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო, საბჭოთა მთავრობის გარშემო მათი მჭიდრო დარაზმულობის მძლავრ დემონსტრაციად.**

## საყოველთაო-სახალხო დღესასწაული

გუშინ გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები. მილიონობით საბჭოთა ადამიანი გამოცხადდა ამ დღეს საარჩევნო უბნებში, რათა მოეხადათ თავიანთი მოქალაქეობრივი ვალი — აერჩიათ საყვარელი სოციალისტური სამშობლოს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატები. სადღესასწაულო ზეიმი იყო ჩვენი ქვეყნის ქალაქებში, მუშათა დაბებსა და სოფლებში, გამოცოცხლება და სიხარული სუფევდა ქუჩებში და მოედნებზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებმა უდიდესი პატრიოტული აღმავლობის ვითარებაში ჩაიარა და გადაიქცა ჩვენი ქვეყნის ხალხთა ურღვევი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის, კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო, საბჭოთა მთავრობის გარშემო მათი მჭიდრო დარაზმულობის მძლავრ დემონსტრაციად. ეს იყო ჩვენი მუშების, ჩვენი გლეხების, ჩვენი ინტელიგენციის, ყველა საბჭოთა ადამიანის — კომუნიზმის შემოქმედთა და მშენებელთა დიდი საყოველთაო-სახალხო დღესასწაული.

რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, ბელორუსიის, ყველა მოძმე საბჭოთა რესპუბლიკის ქალაქებიდან და სოფლებიდან მოდის ცნობები ამომრჩეველთა განსაკუთრებული აქტივობისა და ორგანიზებულობის შესახებ, რომლებმაც ხმა მისცეს კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის კანდიდატებს.

ამომრჩევლები დიდი აღფრთოვანებით აძლევდნენ ხმას კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებს, რომლებიც დასახელებული იყვნენ დეპუტატობის კანდიდატებად. საბჭოთა ადამიანები ერთსულოვნად აძლევდნენ ხმას დეპუტატობის კანდიდატებს — მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის მოწინავეებს, პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულ, კომკავშირულ მუშაკებს, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების მოღვაწეებს — საბჭოთა ხალხის ერთგულ შვილებს, სოციალისტური სამშობლოს სახელოვან პატრიოტებს.

საბჭოთა ადამიანების გულს ღრმად ჩასწვდა მგზნებარე სიტყვები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვისა ყველა ამომრჩევლისადმი, მუშებისადმი, გლეხებისადმი, საბჭოთა ინტელიგენციისადმი, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომრებისადმი. ამ მიმართვამ პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ახალი აზვირთება გამოიწვია ხალხის ფართო მასებში. კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებისათვის ხმის მიცემით ამომრჩევლები ხმას აძლევდნენ კომუნისტური პარტიის პოლიტიკას, მის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებას — ჩვენი სოციალისტური მრეწველობის შემდგომ აყვავებას და სოფლის მეურნეობის მკვეთრ აღმავლობას, ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის განუხრელ ამაღლებას, ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერებისა და ძალის ყოველი ღონისძიებით განმტკიცებას და ახალ წარმატებებს მის ბრძოლაში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის.

მაღალი აზრებითა და გრძნობებით არიან გამსჭვალულნი საბჭოთა ადამიანები. ეს აზრები და გრძნობები კარგად გამოხატა მოსკოვის ქარხანა „ნეფტეგაზის" საუკეთესო ბრიგადირმა ამხ. ა. გავრიჩევმა. მოიხადა რა თავისი მოქალაქეობრივი ვალი, მან თქვა: „ჩვენ, მუშებმა, ვიცით, რომ ჩვენი შრომა ხალხის კეთილდღეობისათვის შრომაა. რაც უფრო მეტ პროდუქციას გამოვუშვებთ, მით უფრო მდიდარი იქნება ჩვენი სამშობლო, მით უფრო კულტურულად და შეძლებულად იცხოვრებს ხალხი".

კომუნისტური პარტიის მიერ შემუშავებული პოლიტიკა ეყრდნობა მასების შემოქმედებითს აქტივობას და სარგებლობს მათი მხურვალე მხარდაჭერით. პარტიის მთელი საქმიანობა გამსჭვალულია ღრმა რწმენით ხალხისადმი, მშრომელთა რევოლუციური ენერგიისადმი. ჩვენი პარტია იმით ხელმძღვანელობს, რომ მუშები და გლეხები, რომლებიც ცხოვრების მთელ საქმეს ქმნიან, — ისტორიის ნამდვილი შემოქმედნი არიან, რომ „მხოლოდ ის გაიმარჯვებს და შეინარჩუნებს ხელისუფლებას, ვისაც, როგორც დიდი ლენინი ამბობდა, რწმენა აქვს ხალხისა, ვინც დაეწაფება ხალხის ცოცხალი შემოქმედების წყაროს". პარტიის ძალაა მისი განუყრელი კავშირი ხალხთან. ხალხის ძალაა მისი დარაზმულობა პარტიის გარშემო.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა თავის სწრაფ წინსვლაში უკან ჩამოიტოვა ის ეკონომიური ზღუდეები, რომლებზეც შეწყვიტა ომმა მისი მშვიდობიანი შრომა. უკვე 1953 წელს სსრ კავშირის სამრეწველო წარმოების მოცულობამ ერთიორად გადააჭარბა ომამდელი 1940 წლის დონეს. განსაკუთრებით სასიხარულოა ის, რომ ჩვენ ახალ დიდ წარმატებებს მივაღწიეთ მძიმე მრეწველობის განვითარებაში, რომელიც მუდამ იყო და არის მთელი სახალხო მეურნეობის აყვავებისა და ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საფუძველი. ახლა, სარგებლობს რა ინდუსტრიალიზაციის ნაყოფითა და შედეგებით, ჩვენმა პარტიამ დასახა ამოცანა — ორი-სამი წლის განმავლობაში მიაღწიოს სახალხო მოხმარების საგნების წარმოების მკვეთრ აღმავლობას.

პარტია და მთავრობა ამჟამად განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევენ სოფლის მეურნეობას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილებაში, პარტიისა და მთავრობის შემდგომ გადაწყვეტილებებში სოფლის მეურნეობის საკითხებზე შემუშავებულია სოციალისტური მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ყველა დარგის დაჩქარებული განვითარების საბრძოლო კონკრეტული პროგრამა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც ამას წინათ გაიმართა, აღნიშნა, რომ საჭიროა შემდგომ განვითარდეს მარცვლეულის მეურნეობა როგორც მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძველი. მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გადიდებასთან ერთად, რაც მიწათმოქმედებაში მთავარი ამოცანაა, პლენუმის დადგენილებით გათვალისწინებულია მარცვლეულის ნათესების გაფართოება ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების გზით.

საბჭოთა ადამიანები, რომლებიც ახალი მიწების ასათვისებლად ჩავიდნენ, რომლებიც ამისათვის მიემგზავრებიან, გამსჭვალული არიან სურვილით — წარმატებით გადაჭრან პარტიის მიერ დასახული ამოცანა. ხმას აძლევდა რა ალტაის მხარის ზაიცევის მტს-ის საარჩევნო უბანში, სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირმა ამხ. ა. პლანკინმა, რომელიც იქ გორკის ოლქიდან ჩავიდა, განაცხადა: „ალტაის გამოცდილ კოლმეურნეებთან თანამშრომლობით ჩვენ პირობას ვიძლევით უხვი მოსავალი მოვიყვანოთ ყველა ნათეს ფართობზე, გავამართლოთ პარტიის ნდობა".

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის საერთო აღმავლობის საფუძველზე უმჯობესდება მშრომელთა კეთილდღეობა, სისტემატურად მცირდება მასობრივი მოხმარების საქონლის ფასები, დიდდება მუშებისა და მოსამსახურეების რეალური ხელფასი და გლეხთა შემოსავალი. საბჭოთა სახელმწიფო წლითიწლობით ადიდებს ასიგნობებს საბინაო მშენებლობისათვის, ჯანმრთელობის დაცვისათვის, სახალხო განათლებისათვის. სულ უფრო და უფრო მეტი საქონელი მიდის სავაჭრო ქსელში, ხორციელდება საბჭოთა ვაჭრობის ორგანიზაციისა და მომხმარებლის მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებანი.

პარტიის მთავარი საზრუნავი საშინაო პოლიტიკის დარგში ის არის, რომ განუხრელად იბრძოლოს მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის, ყველა საბჭოთა ადამიანის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობა, საბჭოთა ხალხის აყვავება უმაღლესი კანონია ჩვენი პარტიისათვის. საგარეო პოლიტიკის დარგში პარტიის მთავარი საზრუნავი ის არის, რომ უზრუნველყოს საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომა, შეინარჩუნოს მშვიდობა და არ დაუშვას ახალი ომი. მთელი საბჭოთა ხალხი მხურვალედ უჭერს მხარს კომუნისტური პარტიის მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას.

საბჭოთა ადამიანი რწმენით და მხნედ შეჰყურებს ხვალინდელ დღეს. საბჭოთა სოციალისტური წყობილება შეიცავს უდიდეს, ჭეშმარიტად დაუშრეტელ შესაძლებლობებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი, კიდევ უფრო მძლავრი განვითარებისათვის, ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესებისათვის. პარტიას თავის ძირითად ამოცანად მიაჩნია ეს შესაძლებლობანი გამოიყენოს სრულად, მიაღწიოს სოციალისტური წარმოების განუწყვეტელ ზრდას. ასეთი ზრდის უზრუნველსაყოფად საჭიროა მტკიცედ ვიბრძოლოთ ჩამორჩენილობისა და თავმინებებულობის უსწრაფესი გადალახვისათვის ჩვენი მშენებლობის ყველა იმ უბანზე, სადაც ამას ადგილი აქვს.

სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და ყოველმხრივი განვითარების გადამწყვეტი პირობაა შრომის ნაყოფიერების ყოველი ღონისძიებით გადიდება ყველა დარგში — მრეწველობაში, ტრანსპორტზე, სოფლის მეურნეობაში. თუ შრომის ნაყოფიერების სერიოზული და განუწყვეტელი ზრდა არ იქნა, ისე შეუძლებელია წარმატებით მივაღწიოთ საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის მნიშვნელოვან და სწრაფ გაუმჯობესებას. ჩვენი ქვეყნის საარსებო ინტერესები მოითხოვს გავაჩაღოთ ნამდვილად ფართო სახალხო მოძრაობა შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვანი გადიდებისათვის, ყოველ სამრეწველო საწარმოში, ყოველ მშენებლობაზე, ტრანსპორტზე, თვითეულ კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში, ჩვენი დიადი მშენებლობის ყველა ფრონტზე შრომის დიდი ნაყოფიერების მიღწევისათვის.

საბჭოთა ხალხს კარგად აქვს წარმოდგენილი მის წინაშე დასახული ამოცანების მთელი გრანდიოზულობა. იგი დარწმუნებულია, რომ ამ ამოცანების განხორციელება ჩვენს სამშობლოს აიყვანს ახალ სიმაღლეზე, გამოიწვევს მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებას, სოციალისტური საზოგადოების ყოველმხრივ აყვავებას.

იმის სიდიადის ღრმა შეგნებით, რაც შესრულებულია და რაც უნდა შესრულდეს, მიდიოდნენ გუშინ საბჭოთა ადამიანები საარჩევნო უბნებში. კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის კანდიდატებისათვის ხმის ერთსულოვნად, ორგანიზებულად მიცემით მათ გვიჩვენეს თავიანთი მისწრაფება — იბრძოლონ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის, ერთხელ კიდევ ცხადყვეს, რომ სავსებით იწონებენ პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, რომელიც შეესაბამება ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს.

ძალღონით აღსავსე მიდის წინ ჩვენი სამშობლო და სულ ახალ და ახალ გამარჯვებებს აღწევს კომუნისტურ მშენებლობაში. სსრ კავშირის ყველა ხალხი მჭიდროდ დარაზმულია მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო. პარტიის, მთავრობისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა ყველა ჩვენი გამარჯვების ცხოველმყოფელი წყაროა, კომუნიზმისაკენ ჩვენი წარმატებითი წინსვლის საფუძველია.

„პრავდის" 15/III მოწინავე.

## სტერეოკინო კიევში

კიევი, 14 მარტი. (საკდესი). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღისათვის კიევის მშრომელებმა საჩუქარი მიიღეს. გუშინ ქალაქში გაიხსნა სტერეოკინოთეატრი. უჩვენეს ორი ფილმი — „სპორტის ოსტატები" და „ღლავი".

სტერეოკინოთეატრი მოწყობილია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. მისი დარბაზი, რომელიც ნავარაუდევია 120 ადგილისათვის, გაწყობილია მოხერხებული ავეჯით.

# ხალხის ბედნიერებისათვის, კომუნიზმისათვის!

* * *

## პატრიოტული აღმავლობით

ლენინგრადი, 14 მარტი. (საკდესი). ლენინგრადელები, ისე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, ახალი შრომითი წარმატებებით შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს. მანქანათმშენებლებმა და ფეიქრებმა, ჩარხმშენებლებმა და კვების მუშაკებმა, ელექტრომანქანათმშენებლებმა, მკერავებმა და ქიმიკოსებმა გეგმის გადამეტებით გამოუშვეს ბევრი ახალი ჩარხი, ავტომატი, ხელსაწყო, ფეხსაცმელი და სახალხო მოხმარების სხვა საქონელი.

სადღესასწაულოდ მორთულ პროსპექტებსა და მოედნებზე ფრიალებს ალისფერი სახელმწიფო ალმები. ყველგან გაცხოველებაა.

კიროვის საარჩევნო ოლქი. აქ კავშირის საბჭოს დეპუტატობაზე კენჭს იყრის კ. ე. ვოროშილოვი, ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობაზე — ფაბრიკა „რაბოჩის" ნოვატორი მქსოველი მ. პ. მატერიკოვა.

№ 43 საარჩევნო უბანი ახალია კიროვის ოლქში. მის ტერიტორიაზე გაშენდა საცხოვრებელი ქალაქი კიროვის სახელობის ქარხნის მუშებისა და მოსამსახურეებისათვის. რვა მრავალსართულიანი სახლი აშენდა ამ უკანასკნელ წლებში. ხმას აძლევს ძველი მუშა, მჩხეველი მ. ვ. ფედოროვი. იგი წარმოებაში ცნობილია როგორც ჩინებული მუშა, თავისი საქმის ოსტატი. ფედოროვების მთელი ოჯახი მუშაობს ქარხანაში. დღეს ისინი ხმას აძლევენ ჩვენი მძლავრი სამშობლოს შემდგომ წარმატებებს, კომუნიზმს.

ერთსულოვნად და ორგანიზებულად მიმდინარეობდა ხმის მიცემა ნარვის გარეუბნის ყველა საარჩევნო უბანში. უკვე პირველ საათებში ამომრჩეველთა დიდმა უმრავლესობამ შეასრულა მოქალაქეობრივი მოვალეობა.

ვასილის კუნძულს ლენინგრადში „მეცნიერების კუნძულს" უწოდებენ. აქ თავმოყრილია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის უდიდესი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები და ლაბორატორიები, ჩვენი ქვეყნის ერთი უძველესი უნივერსიტეტი, სამხატვრო აკადემია, მუზეუმები. № 70 საარჩევნო უბანში ერთ-ერთი პირველი მივიდნენ ა. ა. ჟდანოვის სახელობის უნივერსიტეტის სამეცნიერო-საკვლევი ქიმიური ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი ნ. ა. დომნინი, ამ უმაღლესი სასწავლებლის კათედრის გამგე პროფესორი ვ. მ. ჩეტირკინი, პროფესორი დ. ვ. ტიშჩენკო და სხვები.

აქტიურად მიმდინარეობდა ხმის მიცემა ლენინგრადის კალინინის, მოსკოვის, ფრუნზეს, სმოლნის, ნევისა და სხვა საარჩევნო ოლქებში, აგრეთვე ოლქის კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ლენინის ქალაქის ამომრჩევლებმა არჩევნების დღეს ერთხელ კიდევ ცხადყვეს თავიანთი ერთიანობა და დარაზმულობა პარტიისა და მთავრობის გარშემო, ცხადყვეს, რომ მზად არიან თავდადებით იშრომონ კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

## დიდი აქტივობის ვითარებაში

სვერდლოვსკი, 14 მარტი. (საკდესი). ურალის მანქანათმშენებელი ქარხნის დაბა სვერდლოვსკის ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქის ცენტრია. საშუალო სკოლის ახალ ოთხსართულიან შენობაში მოთავსებულია № 28 და № 12 საარჩევნო უბნები. აქ ხმას აძლევენ სკოლის მომიჯნავე ორი უბნის მცხოვრებნი. ამ უბნებში აშენებულია ლამაზი, მრავალბინიანი სახლები. უბნები, ისევე როგორც თვითონ სკოლა, უკანასკნელ ერთ-ორ წელიწადში აშენდა. ამომრჩევლები იღებენ ბიულეტენებს, რომლებშიც შეტანილი არიან კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატები ნ. მ. შვერნიკი და ურალელი კონსტრუქტორი ფ. ფ. პეტროვი.

ერთსულოვნად მიმდინარეობს ხმის მიცემა № 5 და № 6 უბნებში, რომლებიც მოთავსებულია ურალის მანქანათმშენებელი ქარხნის კულტურის სასახლის დარბაზებში. საარჩევნო ყუთებთან ზედიზედ მიდიან საუცხოო რელსკოჭის დანადგარების, საბურღავი მოწყობილობის, მოსიარულე ექსკავატორების შემქმნელები.

ყველა სადღესასწაულოდ არის გაწყობილი. აი ხმას აძლევენ პირველხარისხოვანი მანქანების ამწყობი წარჩინებული ზეინკალი ივანე დემიდოვი, რომელიც წინასაარჩევნო ვახტის დღეებში სამი კაცის მაგიერ მუშაობდა, მძლავრი ამწეების ერთ-ერთი შემქმნელი კონსტრუქტორი ნიკოლოზ კუზნეცოვი და სხვა მანქანათმშენებლები.

დღეს ყველა გადახედავს წინა არჩევნების შემდეგ განვლილ გზას. სრულიად შეიცვალა ქარხანა, გაიზარდა და დამშვენდა დაბა, რომელმაც მოსახლეობის რიცხვით უკვე გადააჭარბა რევოლუციამდელ ეკატერინბურგს. მაგრამ ამ ოთხ წელიწადში განსაკუთრებით გაიზარდნენ ადამიანები.

ურალის მანქანათმშენებელი ქარხნის ახლოს გადაჭიმულა დიდი დაბა, სადაც აშენებულია ლამაზი საცხოვრებელი სახლები, კულტურის სასახლეები, სკოლები. იგი ძირითადად უკანასკნელ ოთხ წელიწადში გაიზარდა. აქ ცხოვრობენ ქარხანა „ურალელექტროაპარატისა" და ტურბინმოტორის ქარხნის მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები და მოსამსახურეები. დღეს ისინი ერთსულოვნად, მთელი ოჯახებით მიდიან საარჩევნო უბნებში. № 51 საარჩევნო უბანი მოთავსებულია სულ ამ ცოტა ხნის წინათ აშენებულ კულტურის სასახლეში. აქ ერთ-ერთი პირველი მოვიდა მარიამ სტეფანეს ასული პინიასკინა, რომელმაც აღზარდა რვა შვილი, ხუთი მათგანი ტურბინმოტორის ქარხანაში მუშაობს. საბჭოთა სახელმწიფო დიდ დახმარებას უწევს მარიამს. დღეს მრავალშვილიანი დედა ხმას აძლევს კომუნისტური პარტიის ბრძნულ პოლიტიკას, პარტიისა, რომელიც უდიდეს ზრუნვას იჩენს საბჭოთა ადამიანებისათვის.

## მთელი გულით

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების № 21/64 საარჩევნო უბანი. იგი თბილისის მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის შენობაშია მოთავსებული.

შუაღამე გადასულია. განთიადი ახლოვდება. ხმის მიცემის დაწყების დაწესებულ დრომდე დიდი ხნით ადრე მრავალი ამომრჩეველი იკრიბება. მათ შორის არის ღრმად მოხუცი, რომელიც ჯერ კიდევ მხნედ, ჭარმაგად გამოიყურება.

იგი საარჩევნო კომისიის მდივანს გაღიმებული სახით აწვდის საარჩევნო ხმის უფლების მოწმობას.

— ჩამოვედი გორიდან, მსურს ხმა მივცე აქ, თბილისში, ლენინ—სტალინის პარტიის ღირსეულ შვილს, საბჭოთა მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეს, დეპუტატობის ქართველი ხალხის კანდიდატს მიხეილ გიორგის-ძე პერვუხინს.

ალექსანდრე მიხეილის-ძე ციხითათრიშვილი — წერია საარჩევნო ხმის უფლების მოწმობაზე, რომელიც მოხუცმა მდივანს გადასცა.

ეს სახელი ბევრისათვის ცნობილია. იგი დიდი სტალინის სიყრმის მეგობარია, ჩამოსული სტალინის სამშობლო ქალაქ გორიდან.

ბედნიერი ამომრჩეველი პირველი უშვებს ყუთში საარჩევნო ბიულეტენს.

— ჩვენი ქვეყნის სახელოვან შვილთან მ. გ. პერვუხინთან ერთად მე ხმა მივეცი უბრალო ადამიანს მაგდანა ბურჯანაძეს. იგი მუშა ქალია. მიხარია, მთელი გულით მიხარია, რომ ლენინისა და სტალინის ბრძოლას, კომუნისტური პარტიის ბრძოლას ამაოდ არ ჩაუვლია, რომ უბრალო, რიგით ადამიანებს ასეთი ბედნიერი და თავისუფალი ცხოვრება აქვთ. ვინ ღირსებდა წინათ მუშას ასეთ ბედნიერებას.

თავიანთი მოქალაქეობრივი მოვალეობა პირველად განახორციელეს აქ თბილისელმა კარგოსანმა მოსწავლეებმა ნელი დოლიძემ და მეგი კაჭარავამ.

სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა მოსულ ამომრჩეველთა ნაკადი. დილის თერთმეტი საათისათვის ამომრჩეველთა 90 პროცენტს უკვე მიცემული ჰქონდა ხმა.

*

## მოსკოვ-პეკინის მატარებელში

ჩიტა, 14 მარტი. (საკდესი). მაშინ, როცა კრემლის კურანტებმა შუაღამე გვამცნეს, იმიერბაიკალში გათენდა. სრულ ექვს საათზე დაიწყო ხმის მიცემა მოსკოვ-პეკინის მატარებელში, რომელიც მიდიოდა იმიერბაიკალის ველზე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საზღვრისაკენ.

ლამაზ ცისფერ ექსპრესში ამ დილაადრიან არ ეძინა მგზავრთა უმრავლესობას. მატარებლის ორივე ბოლოდან ვაგონში, სადაც მოწყობილია ხმის მისაცემი პუნქტი, იწყეს მოსვლა მგზავრებმა — საბჭოთა მოქალაქეებმა. მათს სიხარულს იზიარებდნენ თავიანთ სამშობლოში მიმავალნი, ჩინეთისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქენი.

ერთ-ერთმა პირველებმა ჩაუშვეს ყუთში ბიულეტენები კომკავშირელებმა ვ. ეფიმოვმა, ს. კოლოტურინმა და ვ. პეტროვმა, რომლებიც სრეტენსკიდან მიდიან იმიერბაიკალის ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად.

## კომანდორის კუნძულებზე

ნიკოლსკოე (კამჩატკის ოლქი), 14 მარტი. (საკდესი). ზეიმით და მხიარულებით დაიწყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღე ჩვენი სამშობლოს ერთ-ერთ შორეულ განაპირა მხარეში — კომანდორის კუნძულებზე.

... დილის ექვსი საათია. სოფელ ნიკოლსკოეს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ამხ. დობრინინი დამსწრეთ ულოცავს საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს და სთხოვს შეუდგნენ ხმის მიცემას. უბნის შენობა ლამაზად არის მორთული, ყველგან ცოცხალი ყვავილებია. პირველი უშვებს ბიულეტენს ყუთში ახალგაზრდა ამომრჩეველი ალეუტელი ნინილა ბადაევა. იგი საბჭოთა მეურნეობის ერთ-ერთი საუკეთესო მწველავია. ხმას აძლევენ მენადირეები, ბეწვის დამუშავების ოსტატები, მშენებლები, მოსამსახურეები.

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარდგინებით შექმნა სსრ კავშირის უმაღლესი განათლების საერთოსაკავშირო სამინისტრო სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს უმაღლესი განათლების მთავარი სამმართველოსა და საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა სამმართველოს დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების ბაზაზე.

სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს გადაეცა სასწავლებლები, დაწესებულებები, ორგანიზაციები და საწარმოები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული სიით.

სსრ კავშირის უმაღლესი განათლების მინისტრად დაინიშნა ამხ. ვიაჩესლავ პეტრეს-ძე **ელიუტინი**.

—

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. გიორგი თევდორეს-ძე **ალექსანდროვი** დანიშნა სსრ კავშირის კულტურის მინისტრად.

—

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გაათავისუფლა ამხ. პ. კ. **პონომარენკო** სსრ კავშირის კულტურის მინისტრის მოვალეობისაგან, ყაზახეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად მისი არჩევის გამო.



სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები 1954 წლის 14 მარტს. 1. მოსკოვი. ხმის მიცემა სვერდლოვის საარჩევნო ოლქის მე-6 საარჩევნო უბანში. 2. რიგა. სტალინის საარჩევნო ოლქის № 7/7 საარჩევნო უბანში.

ფოტო ვ. ბირიუკოვისა და ე. იასენოვისა.

# საბჭოთა ხალხმა უდიდესი ერთსულოვნებით მისცა ხმა კომუნისტური პარტიის ბრძნულ პოლიტიკას, საბჭოთა სამშობლოს შემდგომ აყვავებას

★ ★ ★ ★ ★

## ხმას აძლევენ ბელორუსიის მშრომელები

მინსკი, 14 მარტი. (საკდესი). [illegible]

[illegible] ამ უბანში [illegible] № 1 საარჩევნო [illegible] № 51 და № 62 [illegible] სხვა პროდუქცია.

...მინსკის სატრაქტორო ქარხნის დაბა. ოლეგ კოშევოის ქუჩაზე ლამაზ სახლშია საარჩევნო უბანი № 36. კენჭს იყრიან მ. ზ. საბუროვი და მინსკის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო [illegible] ში ამომრჩეველთა უმრავლესობამ შეასრულა თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობა.

დღის 12 საათისათვის ბელორუსიის ქალაქებსა და სოფლებში თითქმის ყველა ამომრჩეველმა მისცა ხმა.

## პარტიის, მთავრობისა და ხალხის ერთიანობა

ალმა-ატა, 14 მარტი. (საკდესი). როცა ალა-ტაუს მწვერვალები ჯერ კიდევ განთიადისწინა ბურუსით იყო დაფარული, ალმა-ატის ასობით მცხოვრები გამოვიდა სადღესასწაულოდ მორთულ ფართო პროსპექტებზე და გაემართა საარჩევნო უბნებისაკენ.

დილის ექვს საათზე გაიღო ქალაქის 139-ე საარჩევნო უბნის კარები. დილის ათი საათისათვის ბევრ უბანში ამომრჩეველთა უმრავლესობას მიცემული ჰქონდა ხმა.

მკვიდრ მცხოვრებლებთან ერთად ყაზახეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი ოლქების საარჩევნო უბნებში მივიდა მოსკოვის, უკრაინის, ყუბანის, სტალინგრადის, ტამბოვისა და რუსეთის სფსრ სხვა ოლქების ათასობით წარმოგზავნილი, რომლებიც პარტიის მოწოდებით ჩამოვიდნენ აქ ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად.

აკმოლინსკის ოლქის ესილსკის რაიონის სოფელი კრასივოე: ამ რაიონის კოლმეურნეობებმა უნდა აითვისონ 70 ათასი ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწები, აქედან გაზაფხულზე უნდა დათესონ ხორბალი 11 ათას ჰექტარ ყამირზე. კრასივოეს მტს-ში მოდის მძლავრი ტექნიკა. მოსკოვიდან და უკრაინიდან ჩამოსული ახალგაზრდობა დიდი აღფრთოვანებით შეუდგა დაკისრებული საქმის შესრულებას. ყველგან გაჩაღებულია მუშაობა.

დღეს კრასივოეს საარჩევნო უბანთან დილიდან გაისმის სიმღერები. ხმის მისაცემად მოდიან მოსკოვის წარმოგზავნილნი — მტს-თან არსებული ტრაქტორისტთა კურსების მსმენელი ი. ბაბენკოვი, ამასწინანდელი მოსკოველი ზეინკალი ა. მიხალჩევი, სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირები უკრაინიდან ჩამოსულნი ი. შპილევოი, გ. ცენოვოი, მტს-ის ავტომექანიკოსი ს. ლიტოვკო და სხვები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები ყაზახეთში გადაიქცა პარტიის, მთავრობისა და ხალხის ერთიანობის მკაფიო დემონსტრაციად.

## ხალხთა ძმურ ოჯახში

აშხაბადი, 14 მარტი. (საკდესი). ახალგათენებულია. თურქმენეთის დედაქალაქის განიერი ქუჩები სადღესასწაულოდ მორთული ადამიანებით აივსო. მოდიან თურქმენები და რუსები, უკრაინელები და სომხები, ყაზახები და აზერბაიჯანელები.

ექვსი საათია. ძერჟინსკის სახელობის სართავ-საქსოვ ფაბრიკაში, სადაც მოთავსებულია აშხაბადის ანდრეევის საარჩევნო ოლქის № 42 საარჩევნო უბანი, თავი მოიყარეს საფეიქრო კომბინატის ფეიქრებმა და მშენებლებმა. მათი დეპუტატობის კანდიდატია თურქმენი ხალხის ერთგული შვილი ა. ოვეზოვა.

ერთიმეორეზე ასრულებენ თავიანთ მოქალაქეობრივ მოვალეობას მქსოველები, მრთველები, ინჟინრები, ტექნიკოსები. მათთან ერთად აქ ხმას აძლევენ მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეები.

აშხაბადის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის სკოლაში მოთავსებულია აშხაბადის სტალინის ოლქის საარჩევნო უბანი. ექვს საათზე საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ბერდიევმა მიულოცა ამომრჩევლებს საყოველთაო-სახალხო დღესასწაული და სთხოვა დაეწყოთ ხმის მიცემა. პირველი აძლევს ხმას მასწავლებელი ო. მუხამედოვი, შემდეგ — 84 წლის კოლმეურნე ა. ნურიევი, ასპირანტები ა. ულუკბერდიევი, ბ. ბალაკაევი, ინჟინერი კ. ბერდიევი, მემანქანე იუსუფ ატაშევი და სხვები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები თურქმენეთის ქალაქებსა და სოფლებში დიდი პოლიტიკური აქტივობის ვითარებაში მიმდინარეობს.

## საბჭოთა კონსტიტუციის დროშით

ტაშკენტი, 14 მარტი. (საკდესი). საყოველთაო-სახალხო დღესასწაული უზბეკეთის მიწაწყალზე გაზაფხულთან ერთად მოვიდა. სამხრეთის მზის სხივები დაეფინა ქალაქებისა და ყიშლაყების ქუჩებსა და მოედნებს, რომლებითაც დაუსრულებელ ნაკადად გაემართნენ საარჩევნო უბნებისაკენ ბედნიერი საბჭოთა ადამიანები.

... ლამაზი და მშვენიერია რესპუბლიკის სადღესასწაულოდ მორთული დედაქალაქი. გამოცოცხლებულია ტაშკენტის ლენინის საარჩევნო ოლქის საარჩევნო უბნები, სადაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად კენჭს იყრის ლ. მ. კაგანოვიჩი. აქ ხმას აძლევენ მანქანათმშენებლები და რკინიგზელები, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებისა და კონსტრუქტორთა ბიუროების მუშაკები, იმ საწარმოთა მუშები და სპეციალისტები, რომლებიც ფართო მოხმარების საქონელს უშვებენ.

არჩევნების დღეს შრომითი გამარჯვების პატაკებით ხვდება ტაშკენტის ვოროშილოვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივი. იანვარსა და თებერვალში საწარმოს საამქროებიდან ჩვენი ქვეყნის მებამბეობის რაიონებში გაიგზავნა ათობით ბამბის საკრეფი მანქანა, მინდვრის ბამბისსაწმენდი და ნედლი ბამბის პნევმატიკური ამკრეფი, რომლებიც გამოშვებულია გეგმის გადაჭარბებით. სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოშვებას განუწყვეტლივ ადიდებს უზბეკეთის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხანა.

უკვე შუადღისათვის ტაშკენტის ლენინის საარჩევნო ოლქის ყველა უბანში ხმა მისცა ამომრჩეველთა დიდმა უმრავლესობამ.

სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულება, მზადყოფნა — უფრო სწრაფად განახორციელონ პარტიის დავალებანი სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის დარგში — ცხადყვეს რესპუბლიკის კოლმეურნეებმა, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშებმა. უზბეკეთის სამხრეთი რაიონების მებამბეებმა არჩევნების დღე ბამბის თესვის დაწყებით აღნიშნეს. მთელ რიგ რაიონებში მთავრდება საგაზაფხულო თესვა. წარმატებით აგებენ ახალ საირიგაციო არხებსა და წყალსაცავებს.

სამშობლოზე, დიად და ბრძენ კომუნისტურ პარტიაზე ფიქრით საარჩევნო უბნებში მოვიდნენ ბეგოვატის მეტალურგები, ანგრენის მეშახტეები, ლენინსკის მენავთობეები, ჩირჩიკის ქიმიკოსები, იანგი-იულის და კატა-კურგანის კვების მუშაკები, სამარყანდისა და ანდიჟანის მანქანათმშენებლები, ჩარჯოუ-კუნგრადის რკინიგზის მშენებლები.

## საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობისათვის

სასიხარულო გამოცოცხლებაა საარჩევნო უბანში, რომელიც მოთავსებულია თბილისის რკინიგზის ქალთა მე-10 საშუალო სკოლის შენობაში. პატრიოტული სიამაყით თავისი სამშობლოსათვის, ბრძენი კომუნისტური პარტიისათვის, რომელსაც მტკიცე რწმენით მიჰყავს საბჭოთა ხალხი კომუნიზმისაკენ, მიდიან საარჩევნო ყუთებთან 26 კომისრის სახელობის რაიონის მშრომელები. აქ კავშირის საბჭოს დეპუტატობაზე კენჭს იყრის ნოვატორი ხარატი გაბრიელ პეტრეს-ძე სუხინი და ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობაზე — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მირონ დიმიტრის-ძე ჩუბინიძე.

... სიხარულს განიცდიან ამომრჩევლები. აი ბიულეტენებს უშვებენ ყუთში პედაგოგ ცირა ლევანის ასულ გოჩიაშვილის ოჯახის წევრები. ეს ჩვეულებრივი საბჭოთა ოჯახია. ცვლილებანი, რომლებიც მოხდა მის ცხოვრებაში ამ უკანასკნელ დროს, დამახასიათებელია ათასობით მშრომელთა ოჯახისათვის. რამდენიმე თვის წინათ ცირა ლევანის ასულის უფროსმა ვაჟმა ედუარდმა, მექანიკური ქარხნის მოწინავე მსხმელმა, სამოთახიანი ბინა მიიღო ახალ სახლში. ოჯახის კარგმა შემოსავალმა შესაძლებელი გახადა საუკეთესოდ მოეწყოთ ეს ბინა ახალი ავეჯით. უფროსი ქალიშვილი — ლეილა წელს ამთავრებს საშუალო სკოლას. იგი ემზადება იმისათვის, რომ უნივერსიტეტში შევიდეს, დედის მაგალითისამებრ პედაგოგი გახდეს.

მეორე ამომრჩევლის კერამიკული კომბინატის ზეინკლის გრიგოლ ზოტოვის ოჯახიც ამ ახლო ხანში შესახლდა ახალ ბინაში. მოიხადა რა მოქალაქეობრივი ვალი, წარმოების მოწინავე მუშაკმა თავისი აზრები გაუზიარა დამსწრეთ. მან თქვა:

— მივეცი რა ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის ღირსეულ კანდიდატებს, ამით ხმა მივეცი ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტიისა და მშობლიური საბჭოთა მთავრობის ბრძნულ პოლიტიკას, რომელთა მთელი მოღვაწეობა გამსჭვალულია ზრუნვით ხალხის კეთილდღეობისათვის, მშრომელთა ბედნიერებისათვის. (საქდესი).

## მეშახტეთა დღესასწაული

ტყვარჩელი. (საკ. კორ.). ახალგაზრდა ინდუსტრიული ქალაქის ტყვარჩელის მშრომელები 14 მარტს მთელი ჩვენი დიადი სამშობლოს მშრომელებთან ერთად ხმას აძლევდნენ კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი ბლოკის კანდიდატებს.

საარჩევნო უბანში ხმის მისაცემად პირველი გამოცხადდა ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტის სახელგანთქმული მეშახტე მიხეილ კოლიაკო ოჯახის წევრებით: მეუღლითა და შვილით. მ. კოლიაკომ დიდი ხანია გაითქვა სახელი როგორც ნოვატორმა მეშახტემ. მისი უანგარო შრომა დააფასა საბჭოთა მთავრობამ, იგი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენითა და რამდენიმე მედლით. არჩევნების დღეს კოლიაკო მაღალი საწარმოო მიღწევებით შეხვდა: პირველი კვარტალის გეგმა 150 პროცენტით შეასრულა და სამშობლოს დიდძალი ზეგეგმითი პროდუქცია მისცა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებმა ტყვარჩელში მშრომელთა ერთსულოვანი დარაზმულობის ნიშნით ჩაიარა.

## საბჭოთა სარფში

არჩევნების დაწყებამდე დიდი ხნით ადრე გაიღვიძა აჭარის საზღვრისპირა სოფელმა სარფმა, ქუჩებში გაისმა საარჩევნო უბნისაკენ მიმავალ ამომრჩეველთა სიმღერები. სრულ 6 საათზე დაიწყო ხმის მიცემა. პირველად ხმას აძლევს 80 წლის კოლმეურნე ოსმან ქორიძე. მიუხედავად ხანდაზმულობისა, ის კოლმეურნეობაში ახალგაზრდული ენერგიით მუშაობს. შარშან 300 შრომადღე გამოიმუშავა. საარჩევნო ყუთში ბიულეტენის ჩაშვების შემდეგ ოსმან ქორიძე ამბობს:

— მიხარია, რომ იმ ქვეყნის მოქალაქე ვარ, სადაც მშრომელები ბედნიერად და საამურად ცხოვრობენ. სიხარულით ვაძლევ ხმას ჩვენი სამშობლოს სახელოვან ადამიანებს, ამით ხმას ვაძლევ საკოლმეურნეო წყობილების შემდგომ განმტკიცებას, ჩემი ქვეყნის აყვავებას.

შემდეგ ხმას აძლევენ ახალგაზრდა ამომრჩეველი სარფის 8-წლიანი სკოლის მოსწავლე მაყვალა ხარატი, სოციალისტური შრომის გმირი ზინაიდა მემიშიში, მოწინავე მეჩაიე ტ. კახიძე და სხვები.

სარფელებმა მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებით, უდიდესი აღფრთოვანებით მისცეს ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის კანდიდატებს.

დ. კუჩავა.



თბილისის კალინინის № 625 საარჩევნო ოლქის № 5 საარჩევნო უბანში. სურათზე: ხმას აძლევენ (მარცხნიდან — მარჯვნივ წინა პლანზე) 80 წლის ამომრჩეველი მ. ბაკურაძე და კომპოზიტორი ა. ბუკია.

ფოტო გ. ვახტანგაძისა და ვ. გინზბურგისა.

## მშობლიური კომუნისტური პარტიისათვის

დიდი გამოცოცხლებაა სამგორის მშენებელთა დაბა ორხევში. ასობით ამომრჩეველი შეიკრიბა კლუბში, სადაც მოთავსებულია საარჩევნო უბანი, რათა მოიხადონ თავიანთი პატრიოტული ვალი — ხმა მისცენ კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი ბლოკის კანდიდატებს. ისინი ხმას აძლევენ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ვ. პ. მჟავანაძეს და საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს ე. ა. სეხნიაშვილს.

დაბა ორხევი, რომელიც თბილისის სასოფლო საარჩევნო ოლქში მდებარეობს, გადაჭიმულია რამდენიმე კილომეტრზე. ომისშემდგომ წლებში ამ საარჩევნო ოლქში, ისევე როგორც ყველგან, დიდი ცვლილებები მოხდა, წარმოიშვა ქართველ მეტალურგთა ქალაქი — რუსთავი, სამგორის სარწყავი სისტემის მშენებელთა დაბები, ახალი სოფლები, საბჭოთა მეურნეობები, მტს-ები, აგებულ იქნა მთელი რიგი დიდი საწარმოები. ოლქის მშრომელები არჩევნების დღეს ახალი შრომითი გამარჯვებებით შეხვდნენ.

— დღეს ჩვენ სასიხარულო დღესასწაული გვაქვს,—განაცხადა ხმისმიცემისთანავე სოფელ ნორიოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა ფ. გამჯაშვილმა. — ხმას ვაძლევთ ჩვენს კომუნისტურ პარტიას, რომელსაც კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ მიჰყავს საბჭოთა ხალხი. ყოველი საბჭოთა ადამიანი ხედავს პარტიის დაუცხრომელ ზრუნვას ხალხის კეთილდღეობისათვის. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ნებით განხორციელდა ქართველი ხალხის საუკუნეობრივი ოცნება. გვალვით დამწვარმა სამგორის მიწამ მაცოცხლებელი წყალი მიიღო. პარტიისა და მთავრობის ზრუნვას ხალხის კეთილდღეობისათვის ჩვენ ახალი შრომითი წარმატებებით ვუპასუხებთ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებმა თბილისის სასოფლო საარჩევნო ოლქში კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო მშრომელთა დარაზმულობისა და ერთსულოვნების ვითარებაში ჩაიარა. (საქდესი).

## ფეიქართა უბანში

გორი. (საკ. კორ.). ფეიქართა დაბის ცენტრში მოთავსებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების № 8 საარჩევნო უბანი, სადაც ხმას აძლევენ ფეიქრები. საარჩევნო უბნის წინ, არჩევნების დაწყებამდე დიდი ხნით ადრე, მრავალმა ამომრჩეველმა მოიყარა თავი.

არჩევნები დაიწყო. სახეგაბრწყინვებული ფეიქრები რიგრიგობით უშვებენ საარჩევნო ყუთში ბიულეტენებს. ბევრმა მათგანმა სასახელოდ გაანაღდა არჩევნებისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება. აი ხმას აძლევს სტახანოველი მრავალდაზგოსანი მქსოველი ე. ბოლქვაძე, რომელმაც 14 მარტისათვის შეასრულა ნახევარი წლის გეგმა.

საარჩევნო უბანში საამაყო შრომითი მაჩვენებლებით მოვიდნენ ახალგაზრდა ფეიქრები ე. სიროტა, ქ. ხარაზიშვილი და სხვები. მათ ამ დღეს პირველად განახორციელეს თავიანთი მოქალაქეობრივი უფლება.

ფეიქარმა შოთა ყურელმა საარჩევნო ყუთში ბიულეტენების ჩაშვების შემდეგ განაცხადა:

— რიგითი მუშა ინჟინერი გავხდი. გასულ წელს წარმოებისაგან მოუწყვეტლივ დავამთავრე თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საფეიქრო ფაკულტეტი. ამ ბედნიერებას მე კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა მთავრობას ვუმადლი.

დიდი პოლიტიკური აღმავლობით ჩატარდა არჩევნები გორის რაიონის სოფლებშიც. სოფელ ხელთუბნის საარჩევნო უბანში 108 წლის მ. მერაბაშვილმა ხმის მიცემის შემდეგ ასე მიმართა ამომრჩევლებს: აბა რა იყო ძველ დროს ჩემი ცხოვრება: სულს მიხუთავდა სიღატაკე და შიმშილი. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით ბედნიერი გავხდი. ამიტომ მივეცი სიხარულით ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს.

დღის 12 საათისათვის რაიონის სოფლებში ხმის მიცემა ძირითადად დამთავრებული იყო.

## პატრიოტული აღფრთოვანებით

სიღნაღი. (საკ. კორ.). ქალაქმა ჯერ კიდევ შუაღამისას გამოიღვიძა. გარიჟრაჟისას ელექტროშუქით გაჩირაღდნებული ქუჩები ხალხით გაივსო... მშრომელნი საარჩევნო უბნებისაკენ მიიჩქაროდნენ, რათა ერთსულოვნად მიეცათ ხმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებისათვის — ჩვენი ქვეყნის ღირსეული შვილებისათვის.

მიმზიდველად გაფორმებულ კულტურის სახლის საარჩევნო უბანში ყველაზე წინ განახორციელეს თავიანთი მოქალაქეობრივი უფლება ახალგაზრდა ამომრჩევლებმა ნუნუ მჭედლიშვილმა და ზაირა გაბრიელოვამ. მათ დღეს პირველად მიიღეს მონაწილეობა არჩევნებში.

უჩვეულო სიხარული და საზეიმო განწყობილებაა ცენტრის საარჩევნო უბანში. მოსაცდელ დარბაზში მრავალ ამომრჩეველს მოუყრია თავი, აქ ახალგაზრდა ამომრჩევლებმა საინტერესო კონცერტი გამართეს.

რაიონის სოფლებშიც არაჩვეულებრივი გამოცოცხლებაა. მიმზიდველად გაფორმებული საარჩევნო უბნებისაკენ განუწყვეტელ ნაკადად მიდიან მშრომელნი. სოფელ ანაგის საარჩევნო უბანში პირველი მივიდა ახალგაზრდა ამომრჩეველი მერი ვარამაშვილი, რომელმაც ბიულეტენების ყუთში ჩაშვების შემდეგ განაცხადა: ხმას ვაძლევ რა ჩვენი სამშობლოს ღირსეულ შვილებს, ამით ხმას ვაძლევ მშვიდობას და ჩვენი ქვეყნის შემდგომ აყვავებას.

111 წლის მოხუცმა სოლომონ მირიანაშვილმა თავისი მადლობა ჩვენი ბედნიერი ცხოვრების შემოქმედისადმი სამი სიტყვით გამოხატა: გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას!

კოლმეურნე პოეტმა ისაკო მირიანაშვილმა ხმის მიცემის შემდეგ ამომრჩევლებს საკუთარი ლექსი წაუკითხა.

ულიანოვკელი მექანიზატორები არჩევნების დღეს სასახელო მაჩვენებლებით შეხვდნენ. მათ დიდი ხანია გადაჭარბებით შეასრულეს საზამთრო რემონტის გეგმა და სანიმუშოდ მოემზადნენ საგაზაფხულო სამუშაოებისათვის. ხმის მიცემის შემდეგ № 5 სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირმა დავით ნავროზაშვილმა, რომლის ბრიგადა ამჟამად სოფელ მაღაროს კოლმეურნეობის მინდვრებში მუშაობს, იქვე შეკრებილ ნაცნობებს განუცხადა, რომ გადაწყვეტილი აქვს საგაზაფხულოდ სათოხნი კულტურები კვადრატულ-ბუდობრივად 100 ჰექტარზე დათესოს, 15 სამუშაო დღეში აიღოს მოსავალი 350 ჰექტარზე.

არჩევნებმა ყველგან მაღალი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობის ვითარებაში ჩაიარა.

დღის ორი საათისათვის რაიონში ხმა მიცემული ჰქონდა ამომრჩეველთა 93 პროცენტს.

## სიხარულისა და ერთსულოვნების ვითარებაში

დუშეთი. (საკ. კორ.). ქალაქის ორივე საარჩევნო უბანში უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. უკრავდა მუსიკა. როგორც ყოველთვის, ახლაც ახალგაზრდობა იყო მხიარულების მოთავე.

დილის სრულ 6 საათზე დაიწყო ხმის მიცემა.

პირველი ბიულეტენები მიიღეს პედაგოგიური სასწავლებლის წარჩინებულმა მოსწავლეებმა თ. ყაჭიურმა, ქ. მდორეულმა და ს. კახოშვილმა.

სიხარულით მოიხადა თავისი მოქალაქეობრივი ვალი 85 წლის მოხუცმა გრიგოლ ქაფიაშვილმა. ბიულეტენები ყუთში რომ ჩაუშვა, მან კმაყოფილების გრძნობით წარმოთქვა: — სიცოცხლე და დღეგრძელობა ჩვენს პარტიას, ხალხის რჩეულებს, იმათ, ვინც ასე გაამშვენიერა ჩვენი ქვეყანა!

მოდიან და მოდიან ამომრჩევლები, თვითეული მათგანი სიხარულით აძლევს ხმას კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის კანდიდატებს: საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. ვ. პ. მჟავანაძეს და ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მსახიობს ამხ. ლ. მ. გიორგაძეს.

ბევრი სიხარული მოუტანა დუშელებს განვლილმა ოთხმა წელმა. წინა არჩევნების შემდეგ ქალაქს შეემატა ასსაწოლიანი საავადმყოფო, წყალსადენი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, სტალინის სახელობის ახალი კეთილმოწყობილი ქუჩა, მუსიკალური სასწავლებელი, პარტიის რაიკომის მშვენიერი შენობა...

ამომრჩევლებმა კარგად იციან, რომ ყველაფერი ეს მშობლიური კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით კეთდება, რომ ხალხის კეთილდღეობისათვის განუწყვეტელი ზრუნვა პარტიისა და მთავრობის მოღვაწეობის უმაღლესი კანონია.

დღის 12 საათზე დუშეთის ორივე საარჩევნო უბანში ხმის მიცემა ძირითადად დამთავრდა.

## ჩვენი სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის

კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის ერთ-ერთ კორპუსში მოთავსებულია № 8 საარჩევნო უბანი. არჩევნების წინ ქარხნის კოლექტივმა ახალ საწარმოო წარმატებას მიაღწია. ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების რაიონებში ვადამდე გადაიგზავნა უნივერსალური სახარატო-ხრახნსაჭრელი ჩარხების მორიგი პარტია.

კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქში თბილისის მანქანათმშენებელი ქარხნის ნოვატორ ხარატს გ. პ. სუხინს და ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს თბილისის ლენინის საარჩევნო ოლქში ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტს ლ. მ. გიორგაძეს პირველებმა მისცეს ხმა საწარმოს მოწინავე მუშაკებმა.

საარჩევნო ყუთებთან მიდიან ამწყობი ზეინკლები ამხ. შ. შუტაშვილი, ტ. გორკოვი, გ. მემარნიშვილი, ხარატი ნ. ლედიაევი. შეასრულეს რა საპატიო დაკვეთა, მათ გვიჩვენეს თავდადებული შრომის ნიმუშები. მაგრამ ახალგაზრდა პატრიოტები ამით როდი დაკმაყოფილდნენ. ქარხნის მუშათა დიდ ჯგუფთან ერთად მათ გადაწყვიტეს მოსკოველთა მაგალითისამებრ გაემგზავრონ ახალი მიწების ასათვისებლად.

— კომუნისტური პარტია, — თქვა ამწყობმა ზეინკალმა შუტაშვილმა, მოიხადა რა თავისი მოქალაქეობრივი ვალი, — დაუცხრომლად ზრუნავს საბჭოთა ადამიანებისათვის. ამას ჩვენ ვუპასუხებთ კიდევ უფრო თავდადებული, მაღალნაყოფიერი შრომით.

ერთსულოვნად მივიდნენ ხმის მისაცემად № 5 საარჩევნო უბნის ამომრჩევლები. კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის კანდიდატებს აძლევენ ხმას მუშები, სტუდენტები, მოსამსახურეები, დიასახლისები, პენსიონერები.

შეკრებილთა აზრი და გრძნობა გამოხატა ხანში შესულმა ამომრჩეველმა მ. ი. მინდრინამ.

— ყველა ჩვენგანის თვალწინ, — თქვა მან, — შეიცვალა ლენინის რაიონის სახე. საითაც გაიხედავ, ყველგან ჩანს ახალი საცხოვრებელი სახლები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა შენობები. ჩვენი დიდი მადლობა კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას საბჭოთა ადამიანების ბედნიერებაზე ზრუნვისათვის. (საქდესი).

## მტკიცე დარაზმულობა

ცხაკაია. (საკ. კორ.). მაღალი პოლიტიკური აქტივობით შეხვდნენ რაიონის მშრომელები საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს არჩევნების დღეს — 14 მარტს. ათასობით ამომრჩეველი დაიძრა საარჩევნო უბნებისაკენ, რათა ხმა მიეცათ კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის კანდიდატებს, რომლებმაც საქმით დაამტკიცეს თავიანთი უსაზღვრო ერთგულება სამშობლოსადმი.

ქალაქის ცენტრში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის შენობაში მოთავსებული საარჩევნო უბანი მიმზიდველად არის მორთული. აქ დილის ხუთი საათისათვის თავი მოიყარა მრავალმა ამომრჩეველმა.

ბიულეტენს პირველი იღებს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მებაღე-დეკორატორი ივანე ფესვიანიძე. იგი სახეგაბრწყინვებული უშვებს ყუთში საარჩევნო ბიულეტენს და ამბობს:

— აღფრთოვანებით ვაძლევ ხმას დეპუტატობის ჩვენს კანდიდატებს, რადგან ვიცი, რომ ამით ხმას ვაძლევ მშობლიურ კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა მთავრობას, რომლებმაც სასიხარულო და ბედნიერი ცხოვრება მოგვიპოვეს.

საარჩევნო ყუთთან მიდიან რკინიგზის საშუალო სკოლის XI კლასის ფრიადოსანი მოსწავლე დოდო ბჟალავა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მოსწავლე დარეჯან ქორიძე, გურამ მიქაძე და სხვები. შემდეგ ხმას აძლევენ დამსახურებული მასწავლებელი ნ. შამათავა, ხალიჩების საქსოვი ფაბრიკის საქსოვი საამქროს უფროსი დ. კოლოშვილი, რომელიც 14 მარტს მაღალი საწარმოო წარმატებით შეხვდა.

ქალაქის იმ საარჩევნო უბანში, სადაც საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ არის ამხ. ვ. განგია, პირველად საარჩევნო ბიულეტენები მიიღეს ახალგაზრდა ამომრჩევლებმა ც. ყურაშვილმა, ზ. მაისაიამ. მათ მიჰყვნენ სტახანოველი მჭედელი ბ. ფოფხაძე, რომელიც ყოველდღიურ გეგმებს 140-145 პროცენტით ასრულებს, დიასახლისები ნ. ჭუბაბრია, თ. სართანია, მ. დგებუაძე და სხვები. ამ საარჩევნო უბანში დილის 10 საათისათვის უკვე ხმა მისცა ამომრჩეველთა 95 პროცენტმა.

ორგანიზებულად დაიწყო არჩევნები საკოლმეურნეო სოფლების საარჩევნო უბნებში. სოფელ კოტიანეთის საარჩევნო უბანში გათენებამდე 200-მდე ამომრჩეველი შეგროვდა. ბიულეტენი პირველად ჩაუშვეს ახალგაზრდა ამომრჩევლებმა ნ. კურდღელიამ, ნ. გახოკიამ, მოხუცმა ამომრჩეველმა ი. ხუხიამ.

ერთსულოვნებით და პატრიოტული აღფრთოვანებით ჩატარდა არჩევნები ძველი სენაკის, ნოსირის, ნოქალაქევის და სხვა სოფლების საარჩევნო უბნებში.



თბილისის სტალინის № 624 საარჩევნო ოლქის № 30 საარჩევნო უბანში. სურათზე: ხმას აძლევენ (მარცხნიდან — მარჯვნივ) სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მექვაბე ზ. აკინდიროვი, ქალთა მე-19 საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე რ. კრაუპასი და პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი ჟ. ლეჟავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გულდამშვიდების ატმოსფეროში

## საგარეჯოელებს ხვნა-თესვამ მოუმზადებლებს მოუსწროთ

— მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოთა წარმატებით დაწყებისათვის ყოველმხრივ მზად ვართ, გაჭიანურებული ზამთარი და უამინდობა რომ არ გვიშლიდეს ხელს, — თვითკმაყოფილებით განაცხადა ივრის მტს-ის დირექტორმა ამხ. გ. ქურთიშვილმა. ამავე აზრის არის პარტიის საგარეჯოს რაიკომის მდივანი ივრის მტს-ის დარგში ამხ. რ. ქლივიძე.

ფაქტები კი სულ საწინააღმდეგოს მოწმობს. 10 მარტისათვის მტს-ის მექანიზატორებს შესაკეთებელი დარჩათ 3 ტრაქტორი. გეგმით გათვალისწინებული რაოდენობით ვერ შეაკეთეს აგრეთვე ზოგიერთი სახის მისაბმელი იარაღ-მანქანები (კულტივატორები, გუთნები და სხვ.).

დიდი ჩამორჩენაა სათესლე ფონდების მომზადებისა და სრულ კონდიციამდე აყვანის საქმეში. მტს-ის ზონის კოლმეურნეობათა შორის არც ერთი არ არის ისეთი, რომელსაც გეგმით გათვალისწინებული ყველა საგაზაფხულო კულტურის თესლი საჭირო რაოდენობით ჰქონდეს. მეტი წილი კოლმეურნეობანი ცალკეული კულტურების თესლს ახლა დაეძებენ, როცა საგაზაფხულო თესვის დაწყების გადამწყვეტი პერიოდი დადგა. მტს-ის მომსახურების კოლმეურნეობებს გეგმით 170 ცენტნერი გაზაფხულის ქერის თესლი უნდა მოემარაგებინათ. ფაქტიურად 10 მარტისათვის თესლის კონტროლის ლაბორატორიაში მხოლოდ ერთმა კოლმეურნეობამ წარადგინა 30 ცენტნერი ქერის თესლის ნიმუში და ისიც სიწმინდის მხრივ უკონდიციო აღმოჩნდა. ასევე მთლიანად უკონდიციო გამოდგა 50 ცენტნერი შვრიისა და 18 ცენტნერი ფეტვის თესლი.

ივრის მტს-ის მექანიზატორებმა, გადაჭარბებით შეასრულეს რა მზრალად ხვნის გეგმა, საგაზაფხულოდ კიდევ 600 ჰექტარი უნდა მოხნან. თვეზე მეტია, რაც 6 ტრაქტორით შეუდგნენ შერჩევით ხვნას. ამ ხნის განმავლობაში მოხნულია სულ 130 ჰექტარი. მტს-ის ხელმძღვანელები ხვნის დაბალ ტემპს ცუდი ამინდით ხსნიან. უმთავრესი მიზეზი კი ის არის, რომ ყველა ტრაქტორისტი თანაბარი მონდომებით არ მუშაობს, მათდამი მომთხოვნელობა ნაკლებია. მაგალითად, ტრაქტორისტ მ. ტიგინაშვილს „დტ-54“ მარკის ტრაქტორით საგარეჯოს რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის ნაკვეთზე 18-დან 21 თებერვლამდე ნორმით გათვალისწინებული 5,7 ჰექტარის ნაცვლად დღეში 6 ჰექტარზე ნაკლები არ მოუხნავს, ხნავდა 7 ჰექტარსაც, მაშინ როცა ტრაქტორისტმა რ. კვერაშვილმა ამავე მარკის ტრაქტორით საგარეჯოს კოლმეურნეობა „ახალი შრომის“ ადვილად დასამუშავებელ ნაკვეთში სამი დღის განმავლობაში 10 ჰექტარზე მეტი ვერ მოხნა.

ისევე როგორც მთელ რაიონში, ივრის მტს-ის ზონის კოლმეურნეობებში ჯერ საგაზაფხულო კულტურების შერჩევითი თესვა არ დაწყებულა. ამასაც გაჭიანურებული ზამთრით და ამინდის არახელსაყრელი პირობებით ხსნიან. მაგრამ უდავოა ის ფაქტი, რომ მტს-ის მუშაკებს შეეძლოთ კოლმეურნეებთან ერთად ზამთრის ხელსაყრელ დღეებში შეუფერხებლად განეხორციელებინათ ისეთი სამუშაოები, როგორიც არის სასუქის გატანა, ვენახებისა და ბაღების დამუშავება და სხვ. დასახელებულ სამუშაოებს მტს-ის ზონის კოლმეურნეობებში ან ჯერ არ შესდგომიან, ან ეს სამუშაოები ძლიერ ნელი ტემპით სრულდება. მაგალითად, ზონის კოლმეურნეობებში საგაზაფხულო კულტურებისათვის გეგმით უნდა გაიტანონ 11.100 ტონა ნაკელი, ფაქტიურად გატანილია 300-მდე ტონა. ყველაზე მეტ დაუდევრობას იჩენენ სოფელ საგარეჯოს რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ქ. კერატიშვილი). აქ გეგმით მიცემული 3.200-ის ნაცვლად ჯერ არც ერთი ტონა ნაკელი არ გაუტანიათ.

საგაზაფხულო ხვნის მიმდინარეობის, სასუქების მინდვრად გატანისა და კონდიციური თესლის მომზადების მხრივ ანალოგიური მდგომარეობაა საგარეჯოსა და უჯარმის მტს-ებსა და მათი ზონის კოლმეურნეობებში. მაგალითად, 429 ცენტნერი ქერის თესლიდან, რაც რაიონის კოლმეურნეობებმა შეიძინეს, 130 ცენტნერი უკონდიციო აღმოჩნდა გაღივების მხრივ, 134 ცენტნერი უკონდიციოა სიწმინდის მხრივ. 341 ცენტნერი შვრიის თესლიდან სიწმინდის მხრივ უკონდიციოა 81 ცენტნერი, ამავე მიზეზით დაწუნებულია ამდენივე ცენტნერი ფეტვისა და 113 ცენტნერი მზესუმზირის თესლი.

აღნიშნული ნაკლოვანებანი იმის შედეგია, რომ პარტიის საგარეჯოს რაიკომი, რაისაბჭოს აღმასკომი, განსაკუთრებით რაიკომის მდივნები მტს-ების დარგში ნაწილობრივ კვლავ ძველი მეთოდით განაგრძობენ მტს-ებისა და კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობას, რამიაც ჯერ კიდევ მთლიანად აღმოფხვრილი არ არის გაუპიროვნება და უპასუხისმგებლობა. რაიკომის ყველა მდივანს მტს-ების დარგში საცხოვრებელ ობიექტად არჩეული აქვს არა მანქანა-ტრაქტორთა სადგურები, არამედ რაიონის ცენტრი. მაგალითად, ივრის მტს-ის დირექტორი გ. ქურთიშვილი და რაიკომის მდივანი მტს-ის დარგში რ. ქლივიძე ცხოვრობენ რაიონულ ცენტრში, რომელიც მტს-ს დაახლოებით 18 კილომეტრით არის დაშორებული. ამავე მტს-ის უფროს მექანიკოსს ლუკაშვილს მტს-ს 8 კილომეტრით დაშორებულ სოფელში აქვს საცხოვრებელი ბინა. ესე იგი მტს-ის მთელი ხელმძღვანელობა ფაქტიურად მოკლებულია მექანიზატორებისა და კოლმეურნეთა მრავალფეროვან საქმიანობასთან მჭიდრო კავშირის საშუალებას. დასახელებული ხელმძღვანელები დილის 9 საათზე სამუშაო ადგილას გამოცხადების ნაცვლად რაიონულ ცენტრში იკრიბებიან და ტრანსპორტის შოვნის მოლოდინში ზოგჯერ მტს-ში 2-3 საათით და უფრო მეტი დაგვიანებითაც ცხადდებიან. ცხადია, მუშაობის ასეთ პირობებში ისინი კოლმეურნეობებში ნაკლებად დადიან, მათს ცხოვრებასა და საქმიანობას ღრმად არ სწვდებიან და საბოლოოდ შექმნილი არასახარბიელო მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით იძულებული ხდებიან „ობიექტური“ მიზეზები მოიშველიონ, ამინდის უჩეირო ბრალმდებელთა როლში გამოვიდნენ.

ხელმძღვანელობის ასეთი სტილი და თვითკმაყოფილების ატმოსფერო ძირშივე უნდა აღიკვეთოს. უამისოდ შეუძლებელია მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოების მოკლე ვადებში შესრულება, რაც ბარაქიანი მოსავლის მოყვანის უმთავრესი პირობაა.

**გ. გელაშვილი,**
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

# სად როგორ მიმდინარეობს სათესლე მასალის მომზადება

## (საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს თესლის კონტროლის ლაბორატორიის 10 მარტის ცნობებით)

10 მარტისათვის საქართველოს სს რესპუბლიკის კოლმეურნეობებს გეგმით გათვალისწინებული 250.408 ცენტნერი მარცვლეულისა და მარცვლეულ-პარკოსანი კულტურების თესლიდან დასათესად მომზადებული ჰქონდათ 226.792 ცენტნერი, გეგმის 90,5 პროცენტი. მათ შორის კონდიციამდე აყვანილი იყო 48.841 ცენტნერი ხორბლის თესლი, გეგმის 99 პროცენტი.

ზოგან საგაზაფხულო კულტურათა თესლის გაწმენდისა და კონდიციამდე აყვანის საქმე არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა ამ მხრივ ცაგერის რაიონის კოლმეურნეობებში, რომლებმაც გეგმით უნდა მოამზადონ 2.279 ცენტნერი საგაზაფხულო კულტურების თესლი. იმის გამო, რომ რაიონის ხელმძღვანელი ორგანოები მოსავლიანობის ამაღლების ამ ერთ-ერთ ძირითად პირობას ყურადღებას არ აქცევენ, მომზადდა მხოლოდ 445 ცენტნერი თესლი. ლაბორატორიაში შესამოწმებლად წარდგენილი 1.900 ცენტნერი სიმინდის სათესლე მასალიდან 600 ცენტნერი გაღივების მხრივ უკონდიციოა. ეს იმიტომ, რომ მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა სათესლედ გამოყოფილი სიმინდი ცუდად შეინახეს და არ დაიცვეს სათესლე მასალის შენახვის აგროწესები.

ახალქალაქის რაიონის მშრომელებს დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ. აქ საგაზაფხულო თესვის გეგმის შესასრულებლად საჭიროა ჰქონდეთ სულ მცირე 31.210 ცენტნერი თესლი. თესლის მომზადების ვადები დიდი ხანია გავიდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თესლის წმენდა მთელ რიგ კოლმეურნეობებში ნელი ტემპით მიმდინარეობს. სათეს კონდიციამდე აყვანილი აქვთ მხოლოდ 20.378 ცენტნერი თესლი.

უფრო მეტი: ლაბორატორიაში შესამოწმებლად წარადგინეს მარტო 13.600 ცენტნერი ხორბლის თესლი, რომლის 64,3 პროცენტი სიწმინდის მხრივ უკონდიციო იყო.

საგაზაფხულო ხორბლის თესლის მომზადების საქმეში ყველაფერი რიგზე არც ბოგდანოვკის რაიონშია. აქ გეგმით საჭიროა 5.950 ცენტნერი ხორბლის თესლი, მაგრამ ამ დავალების შესასრულებლად რაიონში თავს არ იწუხებენ. შრომის მოუწყობლობის შედეგად ლაბორატორიაში შესამოწმებლად წარდგენილი 6.614 ცენტნერი სათესლე მასალიდან სიწმინდის მხრივ უკონდიციოა 2.575 ცენტნერი.

ზოგიერთ რაიონში კონდიციური თესლით უზრუნველყოფის აშკარა შეუფასებლობას იჩენენ. მაგალითად, გორის რაიონის სოფელ ბერშუეთის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის დაუდევრობა იქამდე მივიდა, რომ მის მიერ დასათესად მომარაგებული ხორბლის თესლი მთლიანად უკონდიციოა.

ზოგან არ ზრუნავენ ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახების თესლის კონდიციამდე აყვანისათვის. ამის შედეგად ლაბორატორიებში შესამოწმებლად წარდგენილი 5.242 ცენტნერი მრავალწლიანი ბალახების სათესლე მასალიდან სიწმინდის მხრივ უკონდიციოა 1.103 ცენტნერი, ხოლო ერთწლიანი ბალახების სათესლე მასალიდან — 3.226 ცენტნერი. ამ მხრივ კარგი მდგომარეობა ვერ არის სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებში. აქ გეგმით საჭიროა 991 ცენტნერი ესპარცეტის თესლი, მაგრამ რატომღაც მთლიანად ვერ მოახერხეს სათესლე მასალის სიწმინდის მხრივ კონდიციამდე აყვანა. მსგავს ფაქტებს ვხვდებით ხაშურის, ასპინძის, დმანისისა და სხვა რაიონებში.



ქარელის მტს-თან არსებულ სარაიონო თესლის კონტროლის ლაბორატორიაში. სურათზე (მარცხნიდან — მარჯვნივ): ლაბორატორიის გამგე ამხ. რ. ნამგლაძე და ლაბორანტი ამხ. რ. მირუაშვილი თესლის ხარისხის შემოწმებაზე.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

## გადამუშავებულია სამი მილიონი ლიტრი რძე

წალკა. (საკ. კორ.). წალკის რაიონში ყველკარაქის ცხრა ქარხანაა. აქედან სამი მექანიზებულია. გასულ წელს ქარხნებმა სამ მილიონამდე ლიტრი რძე გადაამუშავეს და დიდი რაოდენობით გამოუშვეს მაღალხარისხოვანი კარაქი და ყველი. წალკის ყველის ქარხანამ, სადაც ძირითადი სამუშაოები მექანიზებულია, კარაქის დამზადების გეგმა 110 პროცენტით შეასრულა, ხოლო ყველისა — 122 პროცენტით. ასევე კარგად იმუშავა ბეშთაშენის ყველის ქარხანამ.

ქარხნებში მზადდება კარაქი „ექსტრა“, ყველი „საბჭოთა“, ქართული, თუშური, სულგუნი და სხვ. ამჟამად გაჩაღებულია მზადება ახალი სეზონისათვის.

## ჩითილის გამოყვანა ნეშომპალის ქოთნებში

გარეუბანი. (ტელეფონით). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს—14 მარტს შრომითი აღმავლობით შეხვდნენ თბილისის გარეუბნის რაიონის დიღმის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მექანიზატორები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები. მათ წარმატებით გაანაღდეს ტრაქტორების რემონტის წლიური დავალება.

მტს-ის სპეციალისტები წელს ბოსტნეულის წარმოების გადიდების საქმეში ფართოდ იყენებენ მოწინავე გამოცდილებას — ბოსტნეული კულტურების ჩითილის გამოყვანას ნეშომპალის ქოთნებში. ეს წესი უკვე დანერგეს დიღმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ კიტრის ჩითილის გამოსაყვანად დაამზადეს 800 ცალი ქოთანი.

გათვალისწინებულია ამ წესის გამოყენება დაინერგოს ავჭალისა და გლდანის კოლმეურნეობებში.

## დიდი მოგებანი

ვანის რაიონის სოფელ დიხაშხოს მცხოვრებმა მასწავლებელმა ვ. ს-მა ამ დღეებში რაიონის ცენტრალურ შემნახველ სალაროში წარადგინა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მესამე სახელმწიფო სესხის 500-მანეთიანი ობლიგაცია, რომელსაც 50 ათასი მანეთი მოგება ხვდა.

სოფელ ზედა ვანის კოლმეურნეობა „ახალი გზის“ წევრმა ი. ძ-ემ 100-მანეთიანი ობლიგაციით 25.000 მანეთი მოიგო.

ცხაკაიას რაიონის ძველი სენაკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა შ. რ-შვილმა ამავე სესხის 500-მანეთიანი ობლიგაციით 10.800 მანეთი მოიგო. ასეთივე მოგება ხვდა მოქალაქე ზ. ქ-ძის 500-მანეთიან ობლიგაციას.

# „სირიელ ხალხს სურს იაროს ეროვნული დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის გზით“

## სირიისა და ლიბანის კომპარტიის გენერალური მდივნის განცხადება

ბეირუთი, 14 მარტი. (ტასი). გაზეთმა „ტელეგრაფმა“ გამოაქვეყნა სირიისა და ლიბანის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის ხალედ ბაგდაშის ინტერვიუ ამ გაზეთის სპეციალური კორესპონდენტისადმი.

შეეხო რა სირიაში ამას წინათ მომხდარ ამბებს, რომელთა შედეგად დამხობილ იქნა შიშეკლის რეჟიმი, ბაგდაშმა განაცხადა: „ყველა წინანდელი „სახელმწიფო გადატრიალება“ სირიაში ხდებოდა ხალხს მოწყვეტილი რამდენიმე პირის შეთანხმების შედეგად. მაგრამ შიშეკლის დიქტატურამ კრახი განიცადა ფართო ხალხური მოძრაობის შედეგად, რომლის პროცესშიც განხორციელებულ იქნა ხალხის, ჯარისკაცთა მასებისა და პატიოსანი ოფიცრების ერთიანობა. ამიტომ ამ დიქტატურის დამხობას სხვა შედეგები მოჰყვება, ვიდრე წინანდელი დიქტატურების დამხობას“.

„კომუნისტური პარტია, — განაგრძო ბაგდაშმა, — მუდამ იყო დიქტატურის წინააღმდეგ ბრძოლის ავანგარდში. ერთ-ერთი პირველი გადატრიალების — ჰუსნი ეზ-ზაიმის გადატრიალების — შემდეგ შიშეკლის დიქტატურის უკანასკნელ დღეებამდე განვლილ პერიოდში საპყრობილეში მოთავსებულ იქნა კომუნისტური პარტიის ათასზე მეტი წევრი. ბევრი დაპატიმრებული იმყოფება ციხე მეზის დილეგებში და ტადმორის ბანაკებში. ისინი უსაშინელეს წამებას განიცდიდნენ...“

ბაგდაშმა განაცხადა, რომ პატიოსანი სირიელი პატრიოტები გაკვირვებული არიან იმ გარემოებით, რომ მთელი რიგი ეს პატიმარნი ჯერ კიდევ საპყრობილეში იმყოფებიან.

უპასუხა რა კორესპონდენტის კითხვაზე, თუ როგორ უცქერის იგი სირიაში შიშეკლის ხელისუფლების დამხობის შემდეგ შექმნილ მდგომარეობას, ბაგდაშმა თქვა: „სირიას ესაჭიროება ისეთი მთავრობა, რომელსაც ექნება ხალხის მხარდაჭერა. უამისოდ სირიაში არ იქნება არავითარი სტაბილობა. მთავრობას, რომელსაც მხარს დაუჭერს ხალხი, შესაძლებლობა ექნება წინააღმდეგობა გაუწიოს იმპერიალისტებისა და მათი აგენტების ყველა შეთქმულებას. რა ღონისძიებებიც უნდა მიიღონ და რამდენი ფულიც უნდა ხარჯონ იმპერიალისტებმა, ისინი ვერ შეძლებენ პროვოკაციულად გამოიწვიონ სერიოზული უწესრიგობა, ანდა მოახდინონ სახელმწიფო გადატრიალება, თუ ხალხი მთლიანად უჭერს მხარს არსებულ ხელისუფალთ“.

შეეხო რა თურქეთ-პაკისტანის კავშირს, პროექტს, რომელიც ერაყის პრემიერ-მინისტრმა ჯემალიმ წამოაყენა (ჯემალიმ წინადადება წამოაყენა შეიქმნას არაბთა სახელმწიფოების ფედერაცია ფაქტიურად ინგლისის მფარველობით. — რედ.), და მის მსგავს პროექტებს, ბაგდაშმა განაცხადა: „ამჟამად სირიას მოელის სრულიად აშკარა იმპერიალისტური საფრთხე. ამერიკელები და ინგლისელები, რომლებიც ერთმანეთს ებრძვიან ახლო აღმოსავლეთში ნავთობისა და პოლიტიკური და ეკონომიური ბატონობისათვის, ამჟამად ერთმანეთს ევაჰრებიან და ცდილობენ გამოძებნონ ფორმულა, რომელიც შესაძლებელს გახდიდა მიეღწიათ შეთანხმებისათვის, რათა სირიასა და არაბთა სხვა ქვეყნებს თავს მოახვიონ სამხედრო პროექტები და გადააქციონ ისინი სტრატეგიულ პლაცდარმებად საბჭოთა კავშირის — სოციალიზმისა და მშვიდობის ქვეყნის, არაბთა ერთგული მეგობრის წინააღმდეგ სამოქმედოდ. მაგრამ სავსებით ცხადია, რომ სირიელი ხალხი და სხვა არაბი ხალხები კატეგორიულად უარყოფენ ასეთ გეგმებს. აი ამიტომ სირიელმა ხალხმა, ჯარისკაცების მასამ და პატიოსანმა ოფიცრებმა უარყვეს „ერთობლივი თავდაცვის“ სისტემის შექმნის პროექტი და ამჟამად უარს ამბობენ პაკისტან-თურქეთის პაქტში მონაწილეობაზე, უარყოფენ ჯემალის მიერ წამოყენებულ პროექტს. სირიელი ხალხი უარყოფს აგრეთვე ყველა ორმხრივ იმპერიალისტურ ხელშეკრულებას. ასეთია სირიის ნება. მთავრობამ, რომელსაც სურს სტაბილობა და სურს ისარგებლოს ხალხის, ჯარისკაცთა მასისა და პატიოსანი ოფიცრების მხარდაჭერით, უნდა გამოიჩინოს სრული პატივისცემა ამ ნებისადმი... ე. ი. იგი უნდა იყოს ეროვნული მთავრობა და საგარეო ურთიერთობაში განახორციელოს დამოუკიდებლობის ეროვნული პოლიტიკა“.

ბაგდაშმა აღნიშნა, რომ კომუნისტები მზად არიან მხარი დაუჭირონ ეროვნულ-დემოკრატიულ მთავრობას, რომელიც წინააღმდეგობას გაუწევს იმპერიალისტურ პროექტებს, გააუმჯობესებს სირიის ეკონომიურ მდგომარეობას. „სირიელი კომუნისტები, — განაცხადა მან, — მზად არიან მხარი დაუჭირონ ასეთ მთავრობას და არ წამოაყენონ მასში მონაწილეობის არავითარი პირობა“.

ბაგდაშმა აღნიშნა, რომ სირიელი ხალხი ნებას არავის არ მისცემს ისტორიის ჩარხი უკუღმა დაატრიალოს. „მას სურს იაროს წინ ეროვნული დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის გზით“.

## მიტინგი კარლ მარქსის საფლავზე

ლონდონი, 14 მარტი. (ტასი). კარლ მარქსის გარდაცვალების 71-ე წლისთავთან დაკავშირებით მის საფლავზე ჰაიგეიტის სასაფლაოზე ლონდონში გაიმართა მიტინგი.

კარლ მარქსის საფლავი გვირგვინებით შეამკეს. დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის აღმასკომის სახელით გვირგვინი მიიტანა კომპარტიის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ პალმ დატმა. საფლავი გვირგვინებით შეამკეს აგრეთვე საბჭოთა კავშირის ლონდონის საელჩოს დელეგაციამ და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ლონდონის დიპლომატიურ წარმომადგენლობათა წევრებმა.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა ინგლისის თვალსაჩინო პუბლიცისტმა ჯონ ლუისმა.

## გაიხსნა ინდონეზიის კომპარტიის მეხუთე ყრილობა

ჯაკარტა, 15 მარტი. (ტასი). დღეს ჯაკარტაში გაიხსნა ინდონეზიის კომუნისტური პარტიის მეხუთე ყრილობა.

ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში გააკეთა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ა. ი. დიტმა.

ყრილობა მიიღებს პარტიის პროგრამასა და წესდებას. ყრილობის სახელზე მოდის მრავალი ორგანიზაციის, აგრეთვე უცხოეთის მოძმე პარტიების მისასალმებელი დეპეშები და წერილები.

## არგენტინის საერთაშორისო კინოფესტივალზე

ბუენოს-აირესი, 13 მარტი. (ტასი). მარ-დელ-პლატაში (არგენტინა) გრძელდება საერთაშორისო კინოფესტივალი. კინოფესტივალზე მნიშვნელოვანი წარმატებით სარგებლობს სახალხო დემოკრატიის ქვეყნების — პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და უნგრეთის ახალგაზრდა კინოხელოვნება. ამ ქვეყნების კინოფილმების დემონსტრაციის დროს დარბაზები მუდამ ხალხით არის გაჭედილი.

მაყურებლები გულთბილად შეხვდნენ პოლონეთის ფილმს „შოპენის ჭაბუკობა“, ჩეხოსლოვაკიის ფილმებს „იმპერატორის ხაბაზი“, „ძველებური ჩეხური თქმულებანი“, უნგრეთის ფილმებს „დოქტორი ზემელვეისი“, „სარდალ რაკოცის ლეიტენანტი“, რომელთაც პრესამ მაღალი შეფასება მისცა.

მარ-დელ-პლატაში გახსნილია საბჭოთა კინოხელოვნებისა და ბალეტის ფოტოგამოფენა, რომელიც მნახველთა შორის დიდი წარმატებით სარგებლობს. გამოფენა უკვე ინახულა დაახლოებით 15 ათასმა კაცმა.

# მეტი ყურადღება საბინაო ფონდის მოვლა-პატრონობას

საქართველოს კომუნისტური პარტიის XVI ყრილობაზე სავსებით მართებულად გაკრიტიკებულ იქნენ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოები იმისათვის, რომ ისინი არასაკმაო ყურადღებას აქცევენ არსებული კომუნალური საბინაო ფონდის რემონტსა და დაცვას. ამჯერად ჩვენ შევეხებით მხოლოდ თბილისის კომუნალური ფონდის მოვლა-პატრონობას, რამდენადაც იგი მეტად მტკივნეულ საკითხს წარმოადგენს მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს მუშაობაში.

საქალაქო საბჭოს კომუნალური მეურნეობის განყოფილების მუშაკებს ჯერ კიდევ სათანადოდ არ გარდაუქმნიათ მუშაობა ახალი ამოცანების შესაბამისად, კომუნალური მეურნეობის ხელმძღვანელი აპარატისა და სარემონტო კანტორების მუშაობაში ყველაფერი რიგზე არ არის.

ამას მოწმობს ჩვენს რედაქციაში შემოსული მშრომელთა წერილები და საჩივრები.

მეტად საგულისხმოა ნ. ქობულაშვილის წერილი. აი რას იწერება იგი: „როგორც მოგეხსენებათ, ლენინის ქ. № 63 თერთმეტსართულიანი სახლი, სხვა მრავალ სახლთან ერთად, თბილისის მშვენებაა. ამ სახლს განსაკუთრებული მოვლა უნდა ჰქონდეს. აღნიშნული სახლის მმართველი ამხ. გოგიტიძე თავის საქმიანობას მხოლოდ იმით ამოწურავს, რომ ბინის ქირა აკრიფოს მობინადრეებისაგან, ხოლო სახლის მოვლაზე ნაკლებად ზრუნავს. წყლის მილები არ შეღებილა მრავალი წლის განმავლობაში, შეჭმულია ჟანგისაგან და წყალს ვერ იმაგრებს, საპირფარეშოები დაზიანებულია. ჩელუსკინელთა მოედნის მხრიდან ჩამონგრეულია ჩემი ბინის აივანი. ათი წლის განმავლობაში მრავალჯერ მიმიმართავს ამის შესახებ სხვადასხვა ინსტანციისათვის, მაგრამ არავის ყურადღება არ მოუქცევია. მრავალი წლის ლოდინის შემდეგ მე-5 შესასვლელში შეუდგნენ ლიფტის გაკეთებას, მაგრამ დღემდე არ დაუმთავრებიათ თბილმშენის სამონტაჟო კანტორის მოუქნელი მუშაობის შედეგად“.

ეს წერილი მოგვყავს იმ ამხანაგების საყურადღებოდ ქალაქის კომუნალური განყოფილებიდან, რომლებიც ძველ, ავარიულ მდგომარეობამდე მისულ სახლს სასიკვდილოდ განწირულს აძარებენ, ზედმეტად თვლიან მის შესაკეთებლად სახსრების ხარჯვას და ამით ამართლებენ მთელი რიგი სახლების შეუკეთებლობას. ლენინის ქუჩაზე № 63 თერთმეტსართულიანი სახლი ხომ სიჭაბუკის ხანაშია! რათ არის ასე უყურადღებოდ მიტოვებული?

„რუსთაველის ქუჩაზე № 36 სახლის ეზოში მრავალჯერ ყოფილან თბილისის კალინინის რაისაბჭოს აღმასკომის კომუნალური განყოფილების, საბინაო სამმართველოსა და სარემონტო კანტორის მუშაკები, — გვწერს სტუდენტი ალ. პაპიაშვილი. — მათ მრავალჯერ დაუწერიათ აქტი იმის შესახებ, რომ აღნიშნული სახლი ავარიულ მდგომარეობაშია და დაუყოვნებლივ შეკეთებას საჭიროებს.

როგორც იქნა გასული წლის სექტემბერში ორი მობინადრის ოთახი შეაკეთეს, ისიც მდარეხარისხოვნად, დაშალეს საერთო სამზარეულო, საპირფარეშო და საქმე ამით დამთავრდა. მობინადრე ვ. ქავთარაძემ საკუთარი სახსრებით გადაარჩინა ოთახი დანგრევას, მაგრამ სახლის საერთო სახურავის დაზიანების გამო მისი ბინა კვლავ ავარიულ მდგომარეობაშია. საკითხავია, რას ფიქრობენ ამაზე რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების მუშაკები?“

როგორც მოქ. გ. მათურელი გვწერს, ასეთივე „სრულყოფილი რემონტი“ გააკეთეს რუსთაველის პროსპექტზე № 37 სახლში, რომლის სახურავს გადააკრეს მხოლოდ 15 ცალი თუნუქი, დანარჩენ დაზიანებულ ადგილებზე კი ტილოს ნაჭრები (?) დააწებეს და საქმე ამით ამოწურეს. ტილოს ნაჭრებით რომ წვიმის წყლის დამაგრება არ შეიძლება, ეს უთუოდ იციან რემონტზე მომუშავე ინჟინრებმა, მაგრამ ზემდგომ ორგანოებს ხომ შეუძლიათ უპატაკონ, რემონტი ჩატარებულიაო.

მოლოტოვის რაიონში ზასულიჩის ქუჩაზე № 25 სახლში მოქ. მელქუმოვას ბინა ისე შეუკეთეს, რომ რემონტის შემდეგ კარი აღარ იღება, აივნის სახურავში წყალი ჩამოდის. მილების გამოცვლის შემდეგ მობინადრენი საერთო სარგებლობის სამზარეულოში ვეღარ შედიან, რადგან იგი ნიჟარიდან გადმოსული წყლით ივსება.

26 კომისრის რაიონში კარაკლისის ქუჩაზე № 7 სახლს ამას წინათ კაპიტალური რემონტი გაუკეთეს (სამუშაოთა მწარმოებელი ამხ. გასპაროვი). როგორც კედლების აყვანის, ისე ხის სამუშაოები იმდენად მდარეხარისხოვნად შესრულდა, რომ სახლი ხელახალ რემონტს საჭიროებს.

ზოგიერთი სამუშაოთა მწარმოებელი უპასუხისმგებლოდ ეკიდება თავის მოვალეობის შესრულებას. სამუშაოთა ხარისხზე რომ აღარ ვილაპარაკოთ, რემონტს ყოვლად შეუწყნარებლად აჭიანურებენ. მაგალითად, გრიშაშვილის ქუჩაზე № 32 და ქვემო გომის ქ. № 2 სახლებში 1953 წლის იანვარში დაწყებული რემონტი დღემდე დაუმთავრებელია.

რედაქციაში ბევრი საჩივარი შემოდის რემონტის შეპირებისა და შეუსრულებლობის შესახებ. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დავალებით თბილისის მოლოტოვის რაისაბჭოს აღმასკომის კომუნალურ განყოფილებას გასული წლის მესამე კვარტალში უნდა შეეკეთებინა № 19 სახლი ბოჭორიშვილის ქუჩაზე. როგორც მოქ. ა. ბალათურია გვწერს, სახლის შეკეთება დღესაც არ არის დაწყებული და მობინადრეები უკიდურეს მდგომარეობაში არიან.

„პასუხად თქვენი მომართვისა, — გვწერდა გასული წლის ნოემბერში კიროვის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. დ. კოპალიანი, — გაცნობებთ, რომ ივანიძის ქ. № 34 სახლში მცხოვრები მოქ. მათიაშვილის ბინის შეკეთება გათვალისწინებული იყო მიმდინარე წლის მეორე კვარტალში, მაგრამ ქალაქის საბინაო სამმართველოს საპროექტო სახარჯთაღრიცხვო ბიურომ ხარჯთაღრიცხვა დროზე ვერ შეადგინა. ამჟამად ხარჯთაღრიცხვა შედგენილია და მოქ. მათიაშვილის ბინა შეკეთებულ იქნება მიმდინარე წლის ბოლომდე“.

წელიწადიც გავიდა. ახალი წლის პირველი კვარტალიც მიიწურა და ამხ. კოპალიანს თავისი დაპირება ჯერაც არ შეუსრულებია.

ქალაქის კომუნალური საბინაო ფონდის კაპიტალური და სხვა სახის სარემონტო სამუშაოების 1953 წლის გეგმა შესრულებულ იქნა 101 პროცენტით. ამ ციფრით ამაყობენ რემონტზე მომუშავე ამხანაგები, თუმცა წუნდებული რემონტი რომ გამოვურიცხოთ საერთო ჯამიდან, ეჭვს გარეშეა, წლიური მაჩვენებლის ციფრი საგრძნობლად დაიკლებს.

1954 სამეურნეო წელი თავის უფლებაში შევიდა. სარემონტო ობიექტები გათვალისწინებულია, გეგმა შედგენილია, საჭირო თანხებიც გამოყოფილია. საქართველოს კომუნისტური პარტიის XVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად დარაზმული არიან კომუნალური საბინაო ფონდის მუშაკები, მაგრამ საქმეც ის არის, რომ მუშაობა ვერ გაუშლიათ, რატომ? აი რატომ. „ბინმომარაგებას“ (მმართველი ა. ქოქრაშვილი), რომელიც ხე-ტყით ამარაგებს ქალაქის საბინაო სამმართველოს, დაავიწყდა, რომ ზამთარში თოვლი მოდის და სანამ თოვლი არ გადნება, დამზადებული ხე-ტყე ვერ გამოაქვს მთიანი რაიონებიდან. „საქმომარაგებას“ (მმართველი რ. კვანტალიანი) 1953 წელს საბინაო სამმართველოსათვის გამოყოფილი სამშენებლო მასალებიდან 50 პროცენტიც არ მიუწოდებია რემონტზე მომუშავეთათვის.

„თბილმომარაგება“ რატომღაც უსახსროდ დარჩენილა ამ გახურებულ სამუშაოთა პერიოდში და გამოყოფილი მასალების გამოსყიდვასაც ვერ ახერხებს და მთელი რიგი საჭირო მასალებით ვერ უზრუნველყოფს სარემონტო კანტორებს და სახლთმმართველებს.

როგორც მოგეხსენებათ, სახლის შენებლობა საძირკვლიდან იწყება, ხოლო რემონტი — სახურავიდან. რა ფასი აქვს შიგარემონტს, თუ სახურავი საგულდაგულოდ არ არის შეკეთებული. სწორედ ამით ხელმძღვანელობდნენ საბინაო სამმართველოს მუშაკები, როცა მგეგმავ ორგანიზაციებს არსებული სახელმწიფო ნორმების მიხედვით სთხოვეს გამოეყოთ მათთვის 600 ტონა თუნუქი. არ ვიცით რა მიზეზით, მაგრამ სახელმწიფო საგეგმო კომისიას 260 ტონაზე მეტი თუნუქი ვერ გაუმეტებია მთელი ქალაქის ყველა სარემონტო სამუშაოსათვის.

განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ ქალაქის საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებაზე. ქალაქის კომუნალური საბინაო ფონდის რემონტისათვის მარტო მიმდინარე წლის პირველ კვარტალში საჭიროა 2 მილიონი ცალი აგური. ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებას (გამგე ამხ. გ. შავდია) სწორედ ახლა სარემონტოდ გაუჩერებია აგურის მექანიზებული ქარხანა და ნაცვლად იმისა, რომ საშენი მასალების გამოშვებისათვის რაზმავდეს მთელ ძალებს, ადგილობრივი მრეწველობის ფირმით ლიმონათსა და ძმარს უშვებს.

ყოველივე ამის შედეგად მივიღეთ ის, რომ იანვარში სარემონტო სამუშაოთა კვარტალური გეგმა შესრულებულ იქნა მხოლოდ 18 პროცენტით. თუ რემონტზე მომუშავეებს არ შევუქმნით მუშაობის პირობებს და ვერ უზრუნველვყოფთ მასალებით, რა უნდა მოვთხოვოთ! მივცეთ და მოვთხოვოთ. სამართლიანად ჩივიან სარემონტო კანტორების უფროსები ტრანსპორტისა და ახალი სამშენებლო მექანიზმების სიმცირეს. ეს საკითხი მრავალჯერ აღუძრავთ ზემდგომი ორგანოების წინაშე, მაგრამ რატომღაც ის უყურადღებოდ არის დარჩენილი. ტრანსპორტსა და მექანიზმებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს სარემონტო კანტორების მუშაობის გაუმჯობესებაში.

დასასრულ ერთ საკითხზე გვინდა შევჩერდეთ. ხშირია შემთხვევა, როდესაც მობინადრეს სურს თავის ხარჯზე გამოცვალოს მოძველებული ელექტროგაყვანილობა, ან შეღებოს იატაკი, შეათეთროს კედლები, გააკეთოს სახელდახელო რემონტი. ის იძულებულია მიმართოს მოხალტურე ხელოსნებს, რომლებიც სამმაგ ფასს ახდევინებენ უბრალო სამუშაოში. ზედმეტი არ იქნება, თუ სხვა მოწინავე ქალაქების მიხედვით, თბილისშიც შევქმნით რაიაღმასკომებთან ისეთ სარემონტო საამქროებს, საიდანაც მოქალაქეებს შეეძლებათ გამოიწვიონ ხელოსნები და ხელმისაწვდომ ფასებში შეასრულებინონ საჭირო სახელდახელო რემონტი. ამას რომ ითავებდეს ადგილობრივი მრეწველობის განყოფილება, დიდ სასარგებლო საქმეს გააკეთებს.

ეჭვი არ არის, რომ ჩვენი კომუნალური მეურნეობის მუშაკები, ზემდგომი ორგანოების ხელშეწყობით, შეიარაღებულნი საქართველოს კომუნისტური პარტიის XVI ყრილობის გადაწყვეტილებებით, გარდაქმნიან მუშაობას, გამოასწორებენ არსებულ ნაკლოვანებებს და საგრძნობ წარმატებებს მიაღწევენ კომუნალური საბინაო ფონდის მოვლა-პატრონობის საქმეში.

**ბ. ბიორგაძე,**
**ქ. კაჭახიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

## სამრეწველო მშენებლობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში

პეკინი, 12 მარტი. (საკდესი). გაზეთი „ჟენ-სუიუჩაობაო“ მოგვითხრობს ჩინელი ხალხისადმი საბჭოთა კავშირის დახმარების შესახებ.

ჩინეთის ინდუსტრიალიზაციის ძირითადი ბაზაა ჩრდილო-აღმოსავლეთი ჩინეთი, სადაც მიმდინარე წელს შენდება ბევრი დიდი სამრეწველო ობიექტი, მათ შორის საავტომობილო ქარხანა, მანქანათმშენებელი და ჩარხმშენებელი საწარმოები, მძლავრი ელექტროსადგურები, ელექტრომოწყობილობის, ნავთობის, მეტალურგიული და ქვანახშირის მრეწველობისათვის საჭირო მანქანებისა და მექანიზმების საწარმოები. უმნიშვნელოვანესი საწარმოები, წერს გაზეთი, შენდება ჩინეთისათვის საბჭოთა კავშირის ეკონომიური და ტექნიკური დახმარების პროგრამის მიხედვით.

გაზეთი აღნიშნავს, რომ საბჭოთა სპეციალისტები დიდ დახმარებას უწევენ აგრეთვე ჩინეთის სხვა რაიონებს საწარმოთა მშენებლობაში. საბჭოთა კავშირის დახმარებით ჩრდილოეთ ჩინეთში შენდება ისეთი დიდი ახალშენებანი, როგორიც არის ტაიუანის თბოელექტროსადგური და ფინფინის ქვანახშირის მაღაროები, რომლებიც ჩინეთში ცალალხარისხოვანი კოქსვადი ქვანახშირის მოპოვების უდიდესი რაიონი გახდება. ჩრდილო-დასავლეთ ჩინეთში ვითარდება ნავთობის მრეწველობა. საბჭოთა სპეციალისტების უშუალო მონაწილეობით წარმოებს შანხაის 5 უდიდესი სახელმწიფო მანქანათმშენებელი ქარხნის გარდაქმნა. დაში იწყება დიდი სამუშაოები მეტალურგიული კომბინატის შესაქმნელად. ამ თვეში სამხრეთ-დასავლეთ ჩინეთში პირველ დენს მოგვცემს ჩუნცინის დიდი ელექტროსადგური № 507.

სახალხო ჩინეთის ინდუსტრიალიზაციის საქმეში საბჭოთა კავშირის დახმარების შესახებ იუწყებიან აგრეთვე სხვა გაზეთები. გაზეთმა „დაგუნბაომ“ გამოაქვეყნა ცნობა სუნძიანის პროვინციაში ძიამუსის სახელმწიფო ქაღალდის კომბინატის მშენებლობის შესახებ. გაზეთი წერს, რომ აქ მთელი სამუშაოები ხორციელდება საბჭოთა სპეციალისტების ხელმძღვანელობით. კომბინატის ოცდაათსავე საამქროში დაიდგმება უახლესი საბჭოთა მანქანები. ამასთან უმნიშვნელოვანესი საწარმოო პროცესები მთლიანად მექანიზებული იქნება.

## სასურსათო საქონლის ფასების შემცირება უნგრეთში

ბუდაპეშტი, 14 მარტი. (საკდესი). დღეს გამოქვეყნდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილება ცხიმეულისა და ხორცის ფასების შემცირების შესახებ.

დადგენილების თანახმად, საქონლის ცხიმეულის ფასები შემცირებულია 14,3 პროცენტით, მცენარეული ზეთისა — 10,5 პროცენტით, მარგარინისა — 10 პროცენტით, ღორის ხორცისა — 7,8 პროცენტიდან 14,8 პროცენტამდე, საქონლის ხორცისა — 9,4 პროცენტიდან 13,5 პროცენტამდე, სხვადასხვა ძეხვეულის და ხორცის ნაწარმისა — 4,8 პროცენტიდან 21,4 პროცენტამდე და სხვ.

ცხიმეულისა და ხორცის ფასების შემცირება რუმინეთის მოსახლეობას მისცემს 500 მილიონ ფორინტ ეკონომიას წელიწადში.

დადგენილება ძალაში შედის 15 მარტიდან.

## რუმინელი მუშების პატრიოტული თაოსნობა

ბუქარესტი, 14 მარტი. (საკდესი). უპასუხებენ რა პარტიისა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის მოწოდებას, რომ 1954 წელი გადააქციონ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის მნიშვნელოვანი გადიდების წლად, მრეწველობის მუშები აცხადებენ სურვილს გაემგზავრონ მტს-ებსა და სახელმწიფო სასოფლო მეურნეობებში. გაზეთებში გამოქვეყნებულია ბუქარესტის მთელ რიგ საწარმოთა მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების ჯგუფის წერილი, რომელშიც ისინი ითხოვენ მტს-ებსა და სახელმწიფო მეურნეობებში გაგზავნას. „ჩვენ, — ნათქვამია წერილში, — პატრიოტულ მოვალეობად მიგვაჩნია წავიდეთ სამუშაოდ სოფლებში, მტს-ებსა და სახელმწიფო მეურნეობებში, რათა პირადი შრომით მშრომელ გლეხებთან ერთად ხელი შევუწყოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადიდებას“.

მატიას რაკოშის სახელობის ქარხანაში, ქარხანა „სემენეტორაიაში“, 23 აგვისტოს სახელობის, ვასილე როაიტის სახელობის ქარხნებსა და ბუქარესტის სხვა საწარმოებში გაიმართა მიტინგები, რომლებზეც გამოვიდნენ მუშები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და ითხოვეს მტს-ებსა და სახელმწიფო მეურნეობებში გაგზავნა.

## კორეელი მუშები შრომის საბჭოთა მეთოდებს იყენებენ

ფხენიანი, 15 მარტი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საწარმოებში იყენებენ წარმოების საბჭოთა ნოვატორების მუშაობის მოწინავე მეთოდებს. ფართოდ გავრცელდა ვასილ კოლესოვის ლითონის ძალოსნური ჭრის მეთოდი. კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში ეს მეთოდი პირველად გამოიყენეს ომის დროს ხიჩხონის ავტომობილის სათადარიგო ნაწილების ქარხანაში. ახალი მეთოდი სწრაფად გავრცელდა ქარხნის საუკეთესო ხარატთა შორის, რომელთა შრომის ნაყოფიერება 2-3-ჯერ გადიდდა. ახლა კოლესოვის მეთოდით მუშაობს ბევრი მუშა. ქარხანაში, რომლის დირექტორია კიმ ჯე გიუ, ახლა სახარატო ჩარხების 94 პროცენტს აქვს სამარჯვი, რომლის საშუალებითაც შეიძლება კოლესოვის მეთოდით მუშაობა. ლითონის ძალოსნური ჭრის მეთოდი დაინერგა აგრეთვე კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის № 65 ქარხანასა და სხვა საწარმოებში.

წარმოების საბჭოთა ნოვატორების მოწინავე მეთოდებს მრეწველობის სხვა დარგებშიც იყენებენ.

# საბჭოთა წინადადება გერმანიის ერთიანობისა და მშვიდობის მიღწევის საშუალებაა

ბერლინი, 14 მარტი. (საკდესი). გერმანიის საზოგადოებრიობა კვლავ განიხილავს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ვ. მ. მოლოტოვის წინადადებას — დაიდოს „სრულიად ევროპის ხელშეკრულება ევროპის კოლექტიური უშიშროების შესახებ“.

ამ წინადადებისადმი მიძღვნილი დღეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილის ოტო ნუშკეს სტატია გაზეთ „ნოიე ცაიტში“ და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის თავმჯდომარის იოჰანეს დიკმანის სტატია გაზეთ „დერ მორგენში“.

ოტო ნუშკე ხაზგასმით აღნიშნავს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა დელეგაციის წინადადებას ბერლინის თათბირზე სრულიად ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის შესახებ, და წერს:

მოლოტოვის გეგმის თანახმად, ყოველთვის შეიძლება განხორციელდეს შეიარაღების გადაჭრით შემცირება... საბჭოთა გეგმა ითვალისწინებს ევროპის 32-ვე სახელმწიფოს მონაწილეობას სრულიად ევროპის ხელშეკრულებაში, მაშინ როცა ხელშეკრულებაში „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შესახებ მონაწილეობას იღებს მხოლოდ 6 სახელმწიფო. თუ ვ. მ. მოლოტოვის გეგმა სასიცოცხლო მნიშვნელობის საქმეა ევროპისათვის, დასავლეთის ხელშეკრულება „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შესახებ ამერიკის საქმეა. მოლოტოვის გეგმის თანახმად, გერმანიის ორივე ნაწილი თანასწორუფლებიანი პარტნიორი იქნებოდა, რაც შექმნიდა წინაპირობას მათი გაერთიანებისათვის, ხოლო ამერიკა-ადენაუერის გეგმა ემყარება გერმანიის გათიშვას და ბოლოს და ბოლოს მოასწავებს ომის გაჩაღებას.

ეხება რა იმას, თუ რა მიზეზით უარყვეს დასავლეთის სახელმწიფოების წარმომადგენლებმა ვ. მ. მოლოტოვის წინადადება სრულიად ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შესახებ, ოტო ნუშკე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დასავლეთის სამი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრები მხოლოდ იმას ცდილობდნენ, რომ დასავლეთ გერმანიის ადამიანთა რესურსები გამოეყენებინათ თავიანთი სამხედრო გეგმებისათვის და არ ცდილობდნენ უზრუნველეყოთ ნამდვილი უშიშროება ყველასათვის.

მაგრამ, დაასკვნის ოტო ნუშკე, მსოფლიო საზოგადოებრიობამ ჯეროვნად შეაფასა საბჭოთა წინადადება უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ.

იოჰანეს დიკმანი სტატიაში „დიდი ალტერნატივა“ წერს:

ბერლინის თათბირზე ვ. მ. მოლოტოვმა აშკარად წამოაყენა ალტერნატივა: ან „ევროპის თავდაცვითი გაერთიანება“ და ომის მუდმივი საფრთხე ან საზავო ხელშეკრულება გერმანიასთან და მშვიდობიანი ევროპა. ვ. მ. მოლოტოვის წინადადება — შეიქმნას კოლექტიური უშიშროების სისტემა ევროპის ყველა ქვეყნის ხალხთათვის — მთავარი ახალი წინადადება იყო საგარეო საქმეთა მინისტრების ბერლინის თათბირზე.

აშკარაა, წერს დიკმანი, რომ ამ დიდმნიშვნელოვანმა წინადადებამ ევროპაში მშვიდობის განმტკიცების შესახებ აღაფრთოვანა ევროპის ხალხები. არანაკლებ აშკარაა ისიც, რომ ეს წინადადება უაღრესად შეესაბამება ნამდვილი სრულიად ევროპის მშვიდობიანი გაერთიანების, საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელებისა და სრულიად გერმანიის შეთანხმების მიღწევის მოთხოვნებს. იოჰანეს დიკმანი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თუ გერმანიაში მოეწყობა ვ. მ. მოლოტოვის წინადადების შესაბამისად რეფერენდუმი, რათა გამოირკვეს, რა სურს გერმანელ ხალხს: „ევროპის თავდაცვითი გაერთიანება“ თუ საზავო ხელშეკრულება, გერმანელი ხალხის უდიდესი უმრავლესობა ამჯობინებდა მშვიდობას და არა ომს.

# ეგვიპტის პრესა ინგლისის ცდების შესახებ განაახლოს ინგლის-ეგვიპტის მოლაპარაკება

კაირო, 15 მარტი. (საკდესი). ზოგიერთი გაზეთი და, კერძოდ, „აჰბარ ელ-იაუმი“ იუწყება, რომ სუეცის არხის ზონის შესახებ ინგლის-ეგვიპტის მოლაპარაკებაში თითქმის ნახევარი წლის შეწყვეტის შემდეგ, ამას წინათ ინგლისმა „ახალი წინადადებანი“ წარადგინა ამ მოლაპარაკების განახლების შესახებ.

მაგრამ, როგორც გაზეთები აღნიშნავენ, ეს წინადადებანი გადაეცა არა ეგვიპტის, არამედ ამერიკის მთავრობას, რომელიც ინგლის-ეგვიპტის მოლაპარაკებაში ოფიციალურად არ მონაწილეობს.

გაზეთ „აჰბარ ელ-იაუმის“ სპეციალური კორესპონდენტი ვაშინგტონიდან იუწყება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მითითებით ამერიკის ელჩმა კაიროში კეფერიმ აცნობა ეგვიპტის ხელისუფლებს ინგლისის წინადადებანი. 11 მარტს კეფერი შეხვდა საგარეო საქმეთა მინისტრ ფავზის და 13 მარტს — პრეზიდენტ ნაგიბს.

„აჰბარ ელ-იაუმი“ წერს, რომ როცა ეგვიპტის ხელისუფლებმა ინგლისის წინადადებათა შინაარსი შეიტყეს, „დაუყოვნებლივ უარყვეს ეს წინადადებანი“. პრესა აღნიშნავს, რომ ინგლისის „ახალი წინადადებანი“ არაფრით არ განირჩევა იმ წინადადებათაგან, რომლებიც ინგლისმა წარადგინა გასული წლის 21 ოქტომბერს ორი მხარის უკანასკნელ შეხვედრაზე, რომელსაც მოჰყვა მოლაპარაკების ჩაშლა.

# ბავშვთა დანაშაულობის ზრდა ამერიკის შეერთებულ შტატებში

ვაშინგტონი, 15 მარტი. (საკდესი). სენატის იურიდიული კომისიის ქვეკომისიამ გამოაქვეყნა მოხსენება ამერიკის შეერთებულ შტატებში ბავშვთა დანაშაულობის შესახებ.

შეერთებულ შტატებში იმ ბავშვთა რიცხვი, რომლებიც სასამართლოების წინაშე წარსდგნენ მცირეწლოვან დამნაშავეთა საქმეების გამო, ნათქვამია მოხსენებაში, 1948 წლის 300 ათასიდან 1952 წელს 385 ათასამდე გადიდდა.

მოხსენების ავტორები აღნიშნავენ, რომ ბავშვთა დანაშაულობის ზრდა „კიდევ უფრო სერიოზულ ხასიათს იღებს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ყოველი სამი მცირეწლოვანი დამნაშავიდან, რომლებიც პოლიციელებს ხვდებათ თვალში, მხოლოდ ერთს აძლევენ სამართალში“. ისინი აღნიშნავენ, რომ გადიდდა იმ ბავშვთა რიცხვი, რომლებიც სერიოზულ დანაშაულს სჩადიან. „მაგალითად, — ნათქვამია მოხსენებაში, — 1948 წლიდან დაწყებული 18 წლისაზე ნაკლები ასაკის პირთა რიცხვი, რომლებიც ჩარეულნი არიან ისეთ დანაშაულში, როგორიც შემტვრევით ქურდობა და ავტომობილების მოტაცებაა, წლითიწლობით განუწყვეტლივ იზრდებოდა“.

ბავშვთა დანაშაულობის ზრდის გამომწვევ მიზეზთა განყოფილებაში, კერძოდ, აღნიშნულია, რომ „ტელევიზია, რადიო, კინო და „კომიქსები“ განუწყვეტლივ უჩვენებენ ბავშვებს ძალადობისა და დანაშაულობათა ისტორიებს“, რომლებშიც „ხშირად ქება-დიდებას ასხამენ“ დანაშაულებრივ სამყაროს.

მოხსენების ავტორები აგრეთვე აღნიშნავენ 21 წლისაზე ნაკლები ასაკის პირების მიერ ნარკოტიკების ხმარებას და აცხადებენ, რომ ეს „სერიოზული პრობლემა“ გახდა. ცნობები იმის შესახებ, რომ 1951 და 1952 წლებში ნარკოტიკების ხმარების კანონის დარღვევისათვის დაპატიმრებულ იქნა 9 ათასზე მეტი ახალგაზრდა, ნათქვამია მოხსენებაში, „სრულიადაც ვერ ასახავს ნამდვილ სურათს“.



დღითიდღე სახეს იცვლის საბჭოთა საქართველოს დედაქალაქი. ახალი მრავალსართულიანი შენობებით მშვენდება ქუჩები და მოედნები.
სურათზე: ახალი საცხოვრებელი სახლი უნივერსიტეტის ქუჩაზე.
ფოტო გ. ვახტანგაძისა.

# ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის სახელისათვის

მსოფლიო საზოგადოებრიობის დიდ ინტერესს იწვევს მსოფლიო ჩემპიონის საბჭოთა გროსმაისტერ მიხეილ ბოტვინიკის და საბჭოთა გროსმაისტერ ვასილ სმისლოვის ორთაბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის საპატიო წოდებისათვის.

მეორედ საჭადრაკო ხელოვნების ისტორიაში საბჭოთა გროსმაისტერ მ. ბოტვინიკს მსოფლიო ჩემპიონის დაფნის გვირგვინს ეცილება არა სხვა რომელიმე ქვეყნის მოჭადრაკე, არამედ ისევ საბჭოთა საჭადრაკო სკოლის ერთ-ერთი სახელგანთქმული გროსმაისტერი. საჭადრაკო ხელოვნება საბჭოთა მოჭადრაკეებმა გენიალური რუსი მოჭადრაკეების მ. ჩიგორინის და ა. ალიოხინის სახელოვანი ტრადიციების განვითარებით უმაღლეს დონეზე აიყვანეს.

ჭადრაკში მსოფლიო პირველობისათვის ბრძოლა გასული საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო. მსოფლიო ჩემპიონის სახელისათვის ორთაბრძოლა თვრამეტჯერ გამართულა. ყველა მათგანი როდი იყო საინტერესო. ჭადრაკის ისტორიაში წარუშლელი კვალი დატოვა მსოფლიოს პირველი ჩემპიონის სტეინიცის ორმა მატჩმა რუს გროსმაისტერ მ. ჩიგორინთან.

1894 წელს სტეინიცს მსოფლიოს პირველი მოჭადრაკის წოდება წაართვა გროსმაისტერმა ე. ლასკერმა. 27 წლის განმავლობაში ლასკერი ღირსეულად ატარებდა მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინს. 1921 წელს ლასკერი დამარცხდა ორთაბრძოლაში ესპანელ ხოზე კაპაბლანკასთან. ლასკერმა ოთხი პარტია წააგო, 10 ყაიმით დაამთავრა და, მიუხედავად იმისა, რომ მათ 30 პარტია უნდა ეთამაშათ, დათმო მატჩი.

1927 წელს ხ. კაპაბლანკა შეხვდა მატჩში გენიალურ რუს მოჭადრაკეს ა. ალიოხინს. ამან დიდი ინტერესი გამოიწვია. ალიოხინი ამ ბრძოლისათვის 5 წელზე მეტ ხანს ემზადებოდა. 34-ე პარტიის მოგებით (სულ ალიოხინმა მოიგო 6, წააგო 3 და ყაიმით დაამთავრა 25 პარტია) მან მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონობა, რითაც სინამდვილედ აქცია მ. ჩიგორინის ოცნება რუსული საჭადრაკო სკოლის წარმომადგენელი გამხდარიყო საპატიო სახელის მატარებელი.

1935 წელს ალიოხინი მოულოდნელად დამარცხდა ჰოლანდიელ გროსმაისტერ მ. ეივესთან. 1937 წელს ალიოხინმა დაიბრუნა ორი წლით „განათხოვრებული“ მსოფლიო ჩემპიონობა.

1936 წელს ნოტინგემის საერთაშორისო ტურნირში, რომელშიც მონაწილეობდნენ ე. ლასკერი, ხ. კაპაბლანკა, ა. ალიოხინი და მ. ეივე, ახალგაზრდა საბჭოთა გროსმაისტერმა მ. ბოტვინიკმა 1-ლი და მე-2 ადგილი გაიყო ხ. კაპაბლანკასთან.. ამიერიდან მ. ბოტვინიკი აღიარებული იყო მსოფლიო ჩემპიონობის კანდიდატად.

დიდი სამამულო ომის წინ წარმატებით მიმდინარეობდა მოლაპარაკება ა. ალიოხინთან მ. ბოტვინიკის შეხვედრის შესახებ. მაგრამ ჩვენს ქვეყანაზე გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა ვერაგულმა თავდასხმამ ხელი შეუშალა ამ საინტერესო ორთაბრძოლის მოწყობას.

1946 წელს, ა. ალიოხინის გარდაცვალების შემდეგ, მსოფლიო უჩემპიონოდ დარჩა. 1948 წელს საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის გადაწყვეტილებით მოეწყო მსოფლიოს ხუთი უძლიერესი გროსმაისტერის — მ. ბოტვინიკის, პ. კერესის, ვ. სმისლოვის (ყველანი — საბჭოთა კავშირიდან), ს. რეშევსკის (ამერიკის შეერთებული შტატები) და მ. ეივეს (ჰოლანდია) მონაწილეობით ხუთწრიანი მატჩ-ტურნირი. მ. ბოტვინიკმა ძლიერად ჩაატარა შეჯიბრება და ყველა მატჩი მოიგო. ამ გამარჯვებით მ. ბოტვინიკი გახდა მსოფლიოს პირველი საბჭოთა ჩემპიონი. მეორე ადგილზე გამოვიდა ახალგაზრდა სმისლოვი.

ამის შემდეგ დადგენილ იქნა მსოფლიოს ჩემპიონის წოდების გათამაშების ახალი წესები. მსოფლიოს ჩემპიონი სამ წელიწადში ერთხელ მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტთა ტურნირში გამარჯვებულ გროსმაისტერთან იცავს თავის წოდებას. 1951 წელს მ. ბოტვინიკთან შეხვედრის უფლება მოიპოვა ახალგაზრდა საბჭოთა გროსმაისტერმა დ. ბრონშტეინმა. მატჩი დამთავრდა ანგარიშით 12:12 და მ. ბოტვინიკმა შეინარჩუნა თავისი საპატიო წოდება.

გასულ წელს შვეიცარიაში მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტთა ტურნირში გროსმაისტერმა ვ. სმისლოვმა პირველი ადგილი დაიკავა და მოიპოვა უფლება შეეცილოს მ. ბოტვინიკს მსოფლიოს ჩემპიონის წოდებაში.

დღეს მოსკოვში, პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში იწყება ეს საინტერესო მატჩი. მოწინააღმდეგენი ითამაშებენ 24 პარტიას. გაიმარჯვებს ის, ვინც ადრე მოაგროვებს 12½ ან 13 ქულას. ყაიმით დამთავრების შემთხვევაში მ. ბოტვინიკი ინარჩუნებს მსოფლიოს ჩემპიონობას.

მსოფლიოს ჩემპიონი მ. ბოტვინიკი ახლა 43 წლის არის. იგი ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორია. გროსმაისტერი ვ. სმისლოვი მ. ბოტვინიკზე ათი წლით უმცროსია. იგი პროფესიით მომღერალია.

მ. ბოტვინიკი და ვ. სმისლოვი მას შემდეგ, რაც მ. ბოტვინიკი მსოფლიოს ჩემპიონია, ერთმანეთს შეხვდნენ რვაჯერ და ანგარიშია 4:4.

მ. ბოტვინიკ - ვ. სმისლოვის მატჩი ორ თვეს გაგრძელდება.

თ. გიორგაძე,
ოსტატობის კანდიდატი ჭადრაკში.

## ფეხბურთის მსაჯთა შეკრება

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ფიზკულტურისა და სპორტის მთავარმა სამმართველომ მოაწყო ჩვენი რესპუბლიკის ფეხბურთის მსაჯთა შეკრება 38 კაცის მონაწილეობით, რომელთა შორის იყვნენ რესპუბლიკური და პირველი კატეგორიის მსაჯები.

სპორტსმენებმა მოისმინეს ლექციები ფეხბურთის თამაშის წესებზე და მსაჯობის მეთოდიკაზე, გაიარეს პრაქტიკული ვარჯიში, აიმაღლეს კვალიფიკაცია.

შეკრების უფროსი იყო სპორტის დამსახურებული ოსტატი შ. შავგულიძე.

## საქართველოს პირველობა ჭადრაკში

მეთორმეტე ტურში დიდ ინტერესს იწვევდა პირველობის ლიდერების გურგენიძე-ბუსლაევის შეხვედრა. პარტია ორ დღეს გაგრძელდა. თამაში ხასიათდებოდა რთული მანევრებით და სიმწვავით. სანამ პოზიციაში არ ამოიწურა აქტიური თამაშის საშუალებანი, ახალგაზრდა მოჭადრაკეები ბრძოლას განაგრძობდნენ. საბოლოოდ შეხვედრა 58-ე სვლაზე ყაიმით დამთავრდა.

ბლაგიძემ კალატოზიშვილს ჯერ ხარისხი მოუგო, ხოლო შემდეგ ლაზიერის მოგების მუქარით აიძულა დაეთმო პარტია. შიშოვმა ენდრონიკაშვილი დაამარცხა. გიორგაძემ მოუგო ნიკოშვილს, მიქაელიანმა—სმირნოვს, ჩიქოვანმა — ელიოზიშვილს და ფრუიძემ — არნშტეინს. ჯახუა-ჯაკობიას შეხვედრა ყაიმით დასრულდა.

გადადებული პარტიების გათამაშებისას ბუსლაევი და ბლაგიძე ყაიმზე შეთანხმდნენ, ხოლო მაჭავარიანმა მოუგო ჯაკობიას.

თორმეტი ტურის შემდეგ წინ არიან: ა. ბუსლაევი — 10 ქულა, ბ. გურგენიძე — 9 ქულა, მ. შიშოვი და ა. ბლაგიძე — რვა-რვა ქულა, ო. ელიოზიშვილი და გ. მაჭავარიანი — შვიდ-შვიდი ქულა.

რედაქტორის მოადგილე
რ. ქურციკიძე.


## ყურადღება!

400-დან 100.000 მანეთამდე შეიძლება მოიგოთ სახელმწიფო 3%-იანი შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციებით

1954 წლის 30 მარტს ქალაქ ბაქოში შედგება სახელმწიფო 3%-იანი შინაგანი მომგებიანი სესხის მოგებათა მორიგი 38-ე ტირაჟი

ამ ტირაჟში სულ გათამაშდება 23.251.000 მანეთი თანხის 42.500 მოგება, მათ შორის 50.000, 25.000, 10.000, 5.000, 1.000 და 400-მანეთიანი მოგებანი.

ყოველწლიურად იმართება სესხის მოგებათა ექვსი ძირითადი ტირაჟი — 30 იანვარს, 30 მარტს, 30 მაისს, 30 ივლისს, 30 სექტემბერს, 30 ნოემბერს და მოგებათა ერთი დამატებითი ტირაჟი — 30 სექტემბერს.

სესხის ობლიგაციებს ყიდიან და თავისუფლად ყიდულობენ შემნახველი სალაროები.

შეიძინეთ სახელმწიფო 3%-იანი შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციები.

საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველო.

«კინოპროკატის» საქართველოს რესპუბლიკური კანტორა

15-დან 26 მარტამდე კინოთეატრ სპარტაკში და გორკის სახელობის კლუბში მიმდინარეობს

იტალიური კინოფილმების ფესტივალი

ფესტივალის დღეებში ნაჩვენები იქნება

ახალი იტალიური კინოფილმები

„რომი 11 საათზე“, „ორი გროშის იმედი“.

აგრეთვე განმეორებით:

„დაბრუნდი სორენტოში“, „საყვარელი არიები“, „სიყვარულის ნექტარი“, „ოცნებები გზებზე“, „ახალგაზრდა კარუზო“, „ნეაპოლი — მილიონერთა ქალაქი“, „არ არის მშვიდობა ზეთისხილის ბაღებში“, „სიმღერები ქუჩებში“, „სიცილიის ცის ქვეშ“, „ველოსიპედების გამტაცებლები“.

ჟურნალ „ხელოვნებას“ ხელისმომწერთა საყურადღებოდ!

ვინაიდან ჟურნალ „ხელოვნებას“ ფასი შეცვლილია და დაწესებულია 10 მანეთი თვითეულ ნომერზე, ნაცვლად წინათ გამოცხადებული სამი მანეთისა, ხელისმომწერლებს ვთხოვთ 20 მარტამდე შემოიტანონ 6-თვიან ხელმოწერაზე 21 მანეთი, წლიანზე 42 მანეთი.

დანამატის შემოტანის დროს საჭიროა ქვითრის წარმოდგენა.

„სოიუზპეჩატი“.

მოქალაქე ეთერ ალექსანდრეს ასულმა მარიამულმა, მცხოვრებმა ავლევის ქ. № 32, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ ზაურბეგ თედორეს-ძე ბატაევთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგია.

მოქალაქე ავეტიკ მისაკის-ძე ატონიანმა, მცხოვრებმა გუმბრის ქ. № 7, აღძრა საქმე მეთხე ნადიკვარის ქ. № 35 მცხოვრებ მოქალაქე ასია ლევანის ასულ მიკირტიჩიანთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის 26 კომისრის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

| | |
|---|---|
| 16 მარტს | ნ. რიმსკი-კორსაკოვი — მეფის საცოლე |
| 17 მარტს | პ. ჩაიკოვსკი — ევგენი ონეგინი |

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

დღეს თბილისის თეატრებსა და კინოებში

(სპექტაკლების დასაწყისი 8 საათზე)

რუსთაველის სახელობის — დონ სეზარ დე ბაზანი, მარჯანიშვილის სახელობის — გვარს ნუ დავასახელებთ, გრიბოედოვის სახელობის — ძახველის ქალა, მუსიკალური კომედიის — ჩვენი ნაცნობები, მოზარდ მაყურებელთა ქართული — სურამის ციხე (აბონემენტი № 29, 6 ს.), მოზარდ მაყურებელთა რუსული — უბის წიგნაკი (7 ს. 30 წ.), სანიტარული კულტურის — საგზურები, თოჯინების ქართული — ხაფანგში (11 ს.).

• • •

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის, ისანი, პლეხანოვის სახელობისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები — ბატონი ტაქსი, ამირანი — მშვიდობისა და მეგობრობისათვის, თბილისი — დუნაის შვილი.

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია

აარსებს საქართველოს სახელმწიფო საესტრადო ანსამბლს.

ანსამბლის დაარსებასთან დაკავშირებით ცხადდება ესტრადის მსახიობთა, მომღერალთა და მოცეკვავეთა კონკურსი

მსურველებმა განცხადებები და ავტობიოგრაფიები ა. წ. 20 მარტამდე უნდა წარმოადგინონ საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის კანცელარიაში დილის 10 საათიდან საღამოს 5 საათამდე (პლეხანოვის პროსპ., 123) ამხ. თ. ყანჩაველთან.

შვილები ეკატერინე, გიორგი ჩიქოვანები, მანია ქუთელია, თამარ ღლონტი, ლუბა გოგოლაშვილი, შვილიშვილები ელისო, მიხეილ, გივი, ნოდარ, შოთა, ზურაბ იუწყებიან პელაგია ყარამანის ასულ ჩიქოვანის გარდაცვალებას. დაკრძალვა 18-III ქუთაისში. გამოსვენება ცხაკაიას ქ. № 23.

მეუღლე ვერა, შვილები თამარ, ნადია, ლილი ნანეიშვილები, შვილიშვილები ციალა, თენგიზ ყიფიანები, და ეფროსინე მიქელაძე იუწყებიან ნიკოლოზ ბესარიონის-ძე ნანეიშვილის გარდაცვალებას. პანაშვიდი 16, 17-III, 8 ს. გამოსვენება 18-III, 5 ს. ზესიკის ქ. № 31.

ვ. კილაძე, რ. მელაძე, ვ. კალაძე, შ. ბიწაძე, შ. გაბილაია, უ. ხოფერია, მ. მანჯგალაძე, თ. დემეტრაშვილი, ი. ხუციშვილი, გ. ათანელაშვილი, გ. ასათიანი, ბ. კაპანაძე, ა. გელაშვილი, ნ. პაიჭაძე, გ. ვეკუა, ა. ლებანიძე, ნ. ქადეიშვილი იუწყებიან გიორგი ფიდოს-ძე ხოსიშვილის გარდაცვალებას.

მეუღლე ბრონისლავა, სიდედრი იულია, ცოლისძმები ვასო, სტეფანე სტემპენი ოჯახებით იუწყებიან ტარას კონსტანტინეს-ძე უჩანეიშვილის გარდაცვალებას. პანაშვიდი 16, 17-III, 8 ს. გამოსვენება 18-III, 5½ ს. პეტრიაშვილის პირველი შესახვევი № 6.

სამტრესტის სამგორის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეები და სპეციალისტები იუწყებიან ამავე საბჭოთა მეურნეობის აგრონომის შალვა სიმონის-ძე ჯანდიერის გარდაცვალებას.

მარჯვენა ნაპირის თბილკვებვაჭრობის მუშაკთა კოლექტივი იუწყება ტარას კონსტანტინეს-ძე უჩანეიშვილის გარდაცვალებას.

ძმა შალვა ნუცუბიძე, რძალი ქეთევან კლომიაშვილი, ძმისწულები ქეთევან, თამარ, თამაზ იუწყებიან თამარ ისაკის ასულ ნუცუბიძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 16, 17-III, 8 ს. გამოსვენება 18-III, 5 ს. ვაჟა-ფშაველას ქ. № 9-ა.

შვილი ვასილ, რძალი ნათელა, შვილიშვილი მარინე ანდღულაძეები იუწყებიან ლოლა სოლომონის ასულ ანდღულაძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 16, 17-III, 8 ს. გამოსვენება 18-III, 5 ს. გურამიშვილის ქ. № 37.

მეუღლე მაცა, შვილები რევაზ, გურამ, და ელენე, სიძე აბრამ, დისწულები ქუქუნა, ლამარა, რძალი დომნა, ძმისწულები გივი, მაგული, თამარ იუწყებიან სიმონ ნესტორის-ძე ჩხენკელის გარდაცვალებას. პანაშვიდი 16, 17-III, 8 ს. გამოსვენება 18-III, 4 ს. ლესელიძის ქ. № 27.

შვილები თამარ, ალექსანდრე, შალვა, ირაკლი, რძალი ვერა, შვილიშვილები როენა, სერგო, ვლადიმერ იუწყებიან ტერეზია ზაქარიას ასულ მეფარიშვილის გარდაცვალებას. პანაშვიდი 16-III, 8 ს. ყიფიანის ქ. 28. დაკრძალვა 20-III სამტრედიაში, კომკავშირის ქ. № 10.

შვილები გიორგი, ალიოშა, გოგუცა, ვალენტინა, ქსენია, რძლები ქეთო, ფაცია, შურა გოგოძეები, სიძეები მ. შადირიშვილი, გ. აფხაზავა, დები ოლია, ვარდიკო ოჯახებით იუწყებიან სალომე და მიტროფანე გოგოძეების გარდაცვალებას. დაკრძალვა 18-III ტობანიერში (ვანის რ.).

მეუღლე ვარია, შვილები თინა, ავთანდილ, შვილიშვილი ნანული, რძალი ნადია, და ანა, ძმები გიორგი, ვასო იუწყებიან ალექსანდრე ზაქარიას-ძე იოსებაძის გარდაცვალებას. გამოსვენება 16-III, 5 ს. კალინინის ქ. № 103.

მეუღლე თეოფილე, შვილები ძაბა, ანა, ქეთო, იოანე, დავით, ავთანდილ, რძალი აფროდიტა, სიძე გ. მამინაშვილი, შვილიშვილები იუზა, მანანა იუწყებიან მარიამ დავითის ასულ გაბუნია-ჭუბაბრიას გარდაცვალებას. დაკრძალვა 18-III ზედა ნაგვაზეუში (ვეგექორის რ.).

ქ. თბილისის აკად. ი. ა. ჯავახიშვილის სახელობის ვაჟთა მე-7 საშუალო სკოლის დირექცია, პედკოლექტივი და ტექნიკური პერსონალი იუწყებიან გერმანე მჭედლიძის გარდაცვალებას.

მეუღლე ნინო, შვილები ნანა, სოფიო, ძმა რაჟდენ, რძალი სოფიო ჯანდიერები, სიძეები ვალიკო ნინიძე, გრიგოლ სალდაძე, შვილიშვილები თემურ, ნინო, გობრონ იუწყებიან შალვა სიმონის-ძე ჯანდიერის გარდაცვალებას. გამოსვენება 16-III, 5 ს. აკ. წერეთლის ქ. № 19.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის თანამშრომლები იუწყებიან დოცენტ თამარ ისაკის ასულ ნუცუბიძის გარდაცვალებას.

მეუღლე ოლია, შვილები ნადია, გურამ იუწყებიან ლენტორ ალექსის-ძე ჩაკვეტაძის გარდაცვალებას. გამოსვენება 16-III, 5 ს. I დიდუბის შესახ. № 12.

შვილები ნათელა, მედეა, ცოლისდისწულები ნინო, თინა, მარო, სიძეები კ. ბუკია, მ. გავალოვი, ნ. ჯორჯაძე, დ. კავილაძე იუწყებიან ვასილ ივანეს-ძე პაატაშვილის გარდაცვალებას. პანაშვიდი 16, 17-III, 8 ს. გამოსვენება 18-III, 5 ს. რაზმაძის ქ. № 46.


რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეებისა — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, ხამდივნოსი — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვისა და სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურის და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, უცხოეთის ინფორმაციისა და კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-51-81, გამომშვების — 3-81-35, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

უე 00555 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“